

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 11-12, 2013

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ნ. აბესაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილადაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); ო. ფაჩულია; დ. ქუთარაძე (რუსეთი); რ. ჭუთათელაძე; კ. ლურჯვაანიძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭიჭინავა; ლ. ჩიქვაძე; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абесадзе Н., Абралова А., Бараташвили Е., Вапакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папавა В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (Украина); Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л., Читанова Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; N. ABESADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELDADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. LIBUTI; R. JABNIDZE.

თბილისი - 2013

შინაარსი

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ზურაბ ვაშაკიძე, ირაკლი კაცაძე - საგადასახადო	
თეორიები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია -----	6
ქეთევან მარშავა, ლია ძევისაური - რუსეთის ბაზრის	
პერსპექტივა - ილუზია თუ რეალობა? -----	23
Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili -	
The Role of Investment Trusts in the Capital Market -----	40

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

Андрей Глушецкий - ФОРМИРОВАНИЕ УСТАВНОГО	
КАПИТАЛА ПРИ РЕОРГАНИЗАЦИИ АКЦИОНЕРНОГО ОБЩЕСТВА В	
ФОРМАХ СЛИЯНИЯ И ПРИСОЕДИНЕНИЯ -----	46

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ეკატერინე გლოველი - საქართველოში სისხლის	
სამართლის დანაშაულთა სამუალოგადიანი პროგნოზი-----	52

დარგობრივი ეკონომიკა

ნინო გრიგალაშვილი - ფინანსური ანგარიშგების	
კომპონენტები, ელემენტები და მათი შეფასება -----	62

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ზურაბ ჯორბენაძე - ბიზნესის ეთიკის რელიგიური ასპექტები ----	67
Zurab Grigorashvili -The Importance	
of Entrepreneurship in Small Businesses -----	75

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია - მორალური მოძველების გლობალური პრობლემის გადაჭრის გზები ფარმაცევტულ ბიზნესში -----	81
ნანა მაისურაძე - კორპორაციული სტრატეგიული მართვის ანალიტიკური შეფასება, სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის მაგალითზე -----	86
ნინო გრიგალაშვილი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები -----	94

აკონომისტი აუდიტორიაში

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია - ნარმოების ეფექტიანობა. ნარმოების ხარჯები და მათი შემცირების გზები -----	102
2013 წლის ჟურნალის ნომრების შინაარსი -----	107

CONTENT

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Zurab Vashakidze, Irakli Kacadze -The Tax Theories and their Modern Interpretation-----	6
Ketevan Marshava, Lia Dzebisauri -The Perspective of the Market of Russia- Illusion or Reality-----	23
Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili - The Role of Investment Trusts in the Capital Market-----	40

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Andrey Glushecki - Formation of Equity Capital during the Reorganization of Joint Stock Company in the forms of Acquisitions and Mergers-----	46
--	----

LEGAL PROVISION OF MARKET ECONOMY

Ekaterine Gloveli - The Medium-term Prognoses of the Statistics of Criminal Offences in Georgia-----	52
--	----

SECTORAL ECONOMY

Nino Grigalashvili - The Components, Elements of Financial Statements and their Evaluation-----	62
---	----

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Zurab Jorbenadze - The Religious Aspects of Business Ethics-----	67
Zurab Grigorashvili - The Importance of Entrepreneurship in Small Businesses-----	75

Revaz Shengelia ,Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri - The Ways for Resolution of Global Problems of Moral Obsolescence in the Pharmaceutical Business-----	81
Nana Maisuradze - The Analytical Evaluation of Corporate Strategic Management ,on the example of JSC “RMG Copper” and LTD “ RMG Gold”-----	86
Nino Grigalashvili - The Modern Tendencies of Development of Securities Market -----	94

THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM

Revaz Shengelia, Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri - The Effectiveness of Production. The Production Costs and the Ways of their Reduction -----	102
Content of 2013 year’s journals -----	107



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პრობლემები
პერსპექტივები**



**საგადასახადო თეორიები და მათი თანამედროვე
ინტეგრირება**

ზურაბ ვაშაკიძე

ედ, სტუ სრული პროფესორი

ირაკლი კაცაძე

სტუ დოქტორანტი

გადასახადების არსის შესასწავლად მნიშვნელოვანია გავრცელებული საგადასახადო თეორიების და მათი განვითარების ეტაპების გაანალიზება. შეხედულებები საგადასახადო სისტემასა და მის როლზე ეკონომიკაში იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. შეიძლება გამოიყოს საგადასახადო დაბეგვრაზე სხვადასხვა შეხედულებების ფორმირების რამოდენიმე ეტაპი. დაწყებით ეტაპებზე გადასახადი ძირითადად წარმოადგენდა მხოლოდ ეკონომიკურ კატეგორიას, ხოლო ბოლო ეტაპებზე მან უკვე მიიღო სამართლებრივი შინაარსი.

დაბეგვრის სისტემის სრულფასოვან თეორიულ ახსნას ღრმა ისტორიული ფესვები არ გააჩნია. VI-VII საუკუნეებამდე გადასახადებთან დაკავშირებით არსებული თეორიული შეხედულებები ატარებდნენ უსისტემო და შემთხვევით ხასიათს.

ერთ-ერთ პირველს ამ თეორიებს შორის წარმოადგენს **გაცვლის თეორია**, რომელიც დაფუძნებულია დაბეგვრის ანგარიშით ხასიათზე. ამ თეორიის არსი შემდგომში მდგომარეობს: მოსახლეობა გადასახადის გადახდით თავისებურად სახელმწიფოსაგან ყიდულობდა მომსახურებას. სახელმწიფო ემსახურებოდა მათ თავდაცვისუნარიანობას, იცავდა გარეშე მტრებისაგან და ამყარებდა წესრიგს ქვეყნის შიგნით.

აკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

VII საუკუნეში ევროპის სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა საგადასახადო თეორიების განვითარებაც. ინგლისელმა ეკონომისტმა **უილიამ პეტიმ** (1623-1687წწ.) „შრომითი ღირებულების თეორიის“ ავტორმა, თავის ნაშრომში „ტრაქტატი გადასახადებსა და შემოსავლებზე“, დაასაბუთა, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიან საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემას. მისი აზრით, მოქალაქის მიერ არსებობისთვის აუცილებელ მინიმუმზე ზევით არსებული შემოსავალი სახელმწიფოს ეკუთვნის და გადასახადის სახით უნდა იქნეს ამოღებული ბიუჯეტის სასარგებლოდ. გადასახადი უნდა გამომდინარეობდეს სიმდიდრის განაწილების პრინციპიდან, ანუ ის უნდა იყოს თითოეული ინდივიდის ქონების პროპორციული. ამასთან მისი შეხედულებით, რაც უფრო მეტს გადაუხდიან მშრომელებს, ისინი მით უფრო ნაკლებს იმუშავენ და ფაქტობრივად გაზარმაცდებიან.

განმანათლებლობის ეპოქაში გამოჩნდა გაცვლის თეორიის სახესხვაობა – **ატომისტური თეორია**. მისი წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი განმანათლებლები **სებასტიან ლე პტერტ დე ბობანი** (1633-1707წწ.) – „საზოგადო ხელშეკრულების თეორია“, და **შარლ ლუი მონტესკიე** (1689-1755წწ.) – „სახალხო ხელშეკრულების თეორია“. ატომისტური თეორიის მიმდევრები აღნიშნავდნენ რომ გადასახადი არის მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები უხდიან სახელმწიფოს საზღაურს ყველანაირი მათთვის საჭირო მომსახურებისათვის. აღნიშნული თეორიის მიმდევრები იყვნენ აგრეთვე: ინგლისელი ფილოსოფოსი **ტომას გობსი** (1588-1679 წწ.) ფრანგი მოაზროვნე – (1694-1778 წწ.) **ონორე მირაბო** (1749-1791 წწ.).

XI საუკუნის პირველ ნახევარში შვეიცარიელმა ეკონომისტმა **ჟან სიმონ დე სისმონდმა** (1773-1842 წწ.) თავის ნაშრომში „პოლიტიკონომიის ახალი დასაწყისი“ (1819წ.) გადასახადების თეორია ჩამოაყალიბა, როგორც **სიამოვნების, კმაყოფილების თეორია**. ამ თეორიის მიხედვით გადასახადი არის ცალკეული

მოქალაქის მიერ საზოგადოებისაგან მიღებული სიამოვნების, კმაყოფილების საზღაური. აღნიშნული თეორია წარმოადგენს გაცვლის თეორიის უფრო თანამედროვე ვარიანტს.

დაახლოებით ამავე პერიოდში ყალიბდება თეორია – **გადასახადი, როგორც სადაზღვევო პრემია**. ამ თეორიის წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე **ადოლფ ტერი** (1797-1877წწ.) და ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ რამსეი მაკკულოხი** (1789-1864წწ.). მათი აზრით გადასახადი არის სადაზღვევო შენატანი, რომელსაც მოქალაქე უხდის სახელმწიფოს მოსალოდნელი რისკისაგან დაზღვევისათვის.

გადასახადების კლასიკური თეორია (საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია). საკმაოდ დიდი ხანი ბატონობდა საზოგადოებაში კლასიკური შეხედულება ეკონომიკაში გადასახადების როლის შესახებ. ამ თეორიას წინა თეორიებთან შედარებით საკმაოდ მაღალი დონე გააჩნდა. კლასიკური თეორიის დაფუძნება დაკავშირებულია ინგლისელი ეკონომისტების **ადამ სმიტისა** (1723-1790წწ.) და **დავიდ რიკარდოს** (1772-1823 წწ.) მოღვაწეობასთან. ამ თეორიის მიმდევრები გადასახადს განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფო შემოსავლების თავმოყრის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც აუცილებელია მთავრობის შესანახი ხარჯების დასაფინანსებლად. ადამ სმიტის პოზიცია მთლიანად დაფუძნებული იყო საბაზრო ეკონომიკის თეორიაზე და ამიტომ უარყოფდა გადასახადების სხვა ფუნქციებს. ადამ სმიტი სასტიკი წინააღმდეგი იყო ეკონომიკის ცენტრალიზებული, რეგულირებადი მართვისა. ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო და მისი მიმდევრები ეკონომიკას თვლიდნენ მდგრად და თვითრეგულირებად სისტემად, რომელიც რეგულირდებოდა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით. რომელიმე ერთი კომპონენტის ცვლილება ავტომატურად იწვევს სხვა კომპონენტების ცვლილებას და დარღვეული წონასწორობის გამოსწორებას. ეს კი ხდება მწარმოებლების გადაადგილებით სახალხო მეურნეობის დეფიციტურ დარგებში.

ამ თეორიის წარმომადგენელმა **დავიდ რიკარდომ** 1817 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „**პოლიტიკური ეკონომიის და დაბე-**

გერის“ საფუძვლები, რომელშიც მსჯელობდა დაბეგვრის და წარმოების პროცესის, აგრეთვე ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურის თეორიულ ასპექტებზე. **ადამ სმიტმა** კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულა ამ თეორიის ჩამოყალიბებაში. მან რიკარდოზე გაცილებით ადრე 1776 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“**. ადამ სმიტი შეეცადა მოეხდინა ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული საკითხების დეტალური ანალიზი. მაგალითად, ის თვლიდა რომ თავისუფალი კონკურენციის მისწრაფება გამოათანაბროს ფასები, იწვევს სახალხო მეურნეობის დარგებს შიგნით რესურსების განაწილების ოპტიმიზაციას, რაც ყოველთვის ახდენს გავლენას ქვეყანაში დასაბეგრი ბაზის ჩამოყალიბებაზე. მისი აზრით საჭიროა სახელმწიფომ დაიცვას მესაკუთრეთა ყველანაირი სამართლებრივი უფლებები და ამასთან ერთად უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის განვითარება. ე.ი. მან უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი ბაზა, სადაც სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები ხელს არ შეუშლის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას. რაც შეეხება მშენებლობის, გზების შენახვის, სასამართლო აპარატის შენახვის და სხვათა ხარჯებს, ადამ სმიტის აზრით, ისინი შესაძლებელია დაიფაროს საბაჟო გადასახადებითა და მოსაკრებლებით.

ადამ სმიტი სხვებისაგან განსხვავებით ერთმანეთისაგან აცალკევებდა ჩვეულებრივ გადასახადებს, საბაჟო გადასახადებს და მოსაკრებლებს და ამბობდა, რომ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ გადასახადებად. კლასიკური თეორიით გადასახადები ასრულებს მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემავსებელ როლს. ე.ი. აქცენტი კეთდებოდა ფისკალურ ფუნქციაზე. აგრეთვე ადამ სმიტთან საუბარია გადასახადების ამოღებისას სამათლიანობის პრინციპებზე. ის სვამს კითხვას: როგორი გადასახადია უფრო სამართლიანი – **პროპორციული**, თუ **პროგრესული** და ფისკალური მოთხოვნების მიხედვით როგორი საშუალებებით შეიძლება მისი ამოღება.

როგორც ვიცით, საზოგადოებაში ეკონომიკის განვითარების

დონე მუდმივ ცვლილებას განიცდის და შესაბამისად კლასიკურ-მა თეორიამ დროთა განმავლობაში საჭირო კორექტირებები მოითხოვა. დამტკიცდა, რომ დღეისათვის მას რეალური პრაქტიკული გამართლება არ გააჩნია. ეკონომიკური სიდუხჭირის დროს განსაკუთრებით იკვეთება სახელმწიფოსაგან სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რეგულირების აუცილებლობა და რა თქმა უნდა, დაბეგვრის მექანიზმის რეგულირების აუცილებლობა.

აღამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ, აგრეთვე მათმა მიმდევრებმა მაშინდელი ეკონომიკური წყობილების პირობებში ვერ გაითვალისწინეს, რომ გადასახადების ამოღება ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას და მენარმეების საინვესტიციო პოტენციალს. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ისინი ხომ პირდაპირ ზრდიან საქონლის ფასს და ზემოქმედებენ ნებისმიერი საქონლის მოხმარების დონეზე, ხოლო გადასახადებთან დაკავშირებული ეს მოვლენები პირდაპირ მოქმედებენ ეკონომიკურ პროცესებზე საზოგადოებაში.

კეინზიანური თეორია. ეს თეორია, რომლის ფუძემდებელიც იყო **ჯონ მეინარდ კეინსი** (1883-1946წწ.), გამოვიდა კლასიკური თეორიის მონიხალმდევედ. ეს თეორია ასახავს ეკონომიკის ფუნქციონირების ელემენტების საერთო ანალიზს. ის ეყრდნობა სახელმწიფოსაგან მაკროეკონომიკურ რეგულირების მიმართულებას. ამ თეორიის მთავარ არსს წარმოადგენს ის, რომ გადასახადები არის ეკონომიკის რეგულირებისა და მისი წარმატებით განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. **ჯ. კეინსმა** თავისი ნააზრვეი ჩამოაყალიბა ნაშრომში – **„დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“** (1936წ.). აღნიშნული თეორია ამტკიცებს, რომ საჭიროა შეიქმნას მყარი მოთხოვნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია სახელმწიფოს რეგულირების სხვადასხვა მეთოდების ზემოქმედებით. კეინსის აზრით ეროვნული სიმდიდრის საფუძველს წარმოადგენს დაგროვება. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სრული დასაქმების პირობებში ფულად დანაზოგზე, დაგროვებაზე. მისი აზრით, დანაზოგი უნდა იყოს ზომიერი, თუკი ის დიდია,

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მაშინ ხელს შეუშლის ეკონომიკის ზრდას, რადგანაც არ მოხდება მისი მთლიანი გამოყენება წარმოების პროცესში და ის დარჩება, როგორც შემოსავლების პასიური წყარო, ხოლო იმისათვის რომ აღმოვფხვრათ ნეგატიური მოვლენები, ზედმეტი დანაზოგი საჭიროა ამოვიღოთ გადასახადების საშუალებით.

კეინსის აზრით სახელმწიფოს დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საინვესტიციო სახსრების მოზიდვაში. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია როგორც ფულად-საკრედიტო, აგრეთვე საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებითაც. კერძოდ, პროცენტის ნორმის ფიქსაციითა და გადასახადების შესაბამისი სისტემის შემუშავებით შეგვიძლია მოვახდინოთ მოთხოვნის რეგულირება. კეინსიანური თეორია პირველ რიგში აღიარებს სახელმწიფო რეგულირების უპირატესობას. მაგრამ, იგი არ გამორიცხავს კერძო მენარმეთა ინტერესებს და დასაშვებად მიიჩნევს მათ შორის კომპრომისს.

კეინზიანელები მხარს უჭერდნენ დაბეგვრის პროგრესულ სისტემას, რადგანაც თვლიდნენ, რომ პროგრესულ საგადასახადო სისტემას შეუძლია მენარმეთა რისკის სტიმულირება კაპიტალის დაბანდებისას. ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობის ვარირების გზით, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყანაში კონკრეტული ეკონომიკური სიტუაცია, სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა დაამყაროს გარკვეული ნონასწორობა დაგროვებასა და წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის მოცულობას შორის. დაბალანსების ასეთი გზით სახელმწიფო ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის მოცულობაზე და ამ უკანასკნელის მეშვეობით მიწოდების სიდიდეზე.

კეინზიანურმა თეორიამ უკუაგდო მანამდე აღიარებული დოგმა დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ და წინა პლანზე წამოწია ბიუჯეტური დეფიციტის, როგორც ეკონომიკის სტიმულირების პრობლემა. ის თვლიდა, რომ ბიუჯეტური დეფიციტის შექმნის გზით შესაძლებელია გაძლიერდეს დამატებითი მოთხოვნა ეკონომიკაში. წარმოების მაღალი დონის პირობებში საფინანსო პოლიტიკამ უნდა შეზღუდოს მოთხოვნა მაღალი გადასახადების

დანესებისა და ხარჯების შემცირების გზით. ბიუჯეტური დეფიციტი შეიძლება შენარჩუნებული იქნას აგრეთვე ზრდადი წარმოების პირობებში ეკონომიკის სტიმულირებისა და ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის მიზნით.

კეინსის აზრით გადასახადები ეკონომიკურ სისტემაში მოქმედებენ როგორც „ჩაშენებული სტაბილიზატორი - დრეკადი მექანიზმი“. კეინსის თეორიული შეხედულებები წარმატებით გამოიყენა პრაქტიკაში ინგლისის მთავრობამ. ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, როცა ინგლისის მთავრობამ ყველა ძალა მიმართა სამხედრო მრეწველობის სანარმოების განვითარებისაკენ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში უფრო და უფრო ხშირად ვლინდებოდა ეკონომიკაში კრიზისული მოვლენები, რომელთა დროსაც სახელმწიფოს მიერ ეფექტური მოთხოვნის მიღწევა და ამ გზით ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობა ვეღარ პასუხობდა ეკონომიკის განვითარების კონკრეტულ დონეს. კეინზიანური რეგულირების სისტემა დაირღვა შემდეგი მიზეზების გამო:

– უპირველეს ყოვლისა, როცა წარმოების პირობების და არა რეალიზაციის პირობების ცვლილებების ფონზე ინფლაციამ მიიღო ქრონიკული ხასიათი და აუცილებელი გახდა სახელმწიფოს ისეთი ჩარევა რეგულირების პროცესში, რომლის დროსაც მოხდებოდა რესურსების მიწოდების გაძლიერება და არა მოთხოვნისა.

– მეორეს მხრივ, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განვითარებით მოხდა თითოეული ქვეყნის შიდა ბაზარზე დამოკიდებულების გაძლიერება. ამ დროს მოთხოვნის სტიმულირება ასრულებდა დადებით როლს უცხოური ინვესტიციებისათვის, ამიტომ კეინსის კონცეფცია „ეფექტური მოთხოვნის“ შესახებ შეცვალა ნეოკლასიკურმა თეორიამ „ეფექტური მიწოდების“ შესახებ.

ნეოკლასიკური თეორია დაფუძნებულია მდგრადი ეკონომიკის, კერძოდ წარმოებითი პროცესების პირობებში თავისუფალი კონკურენციის უპირატესობაზე. განსხვავება კეინზიანურ და ნეოკლასიკურ თეორიებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ისინი

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სხვადასხვანაირად უდგებიან და განიხილავენ სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს. ნეოკლასიკური მიმართულების თანახმად შიდა კორექტირებადი ზომები მიმართული უნდა იყოს თავისუფალი, კონკურენციის ხელისშემშლელი მოვლენების აღმოსაფხვრელად, ამიტომ სახელმწიფო ჩარევამ არ უნდა მოახდინოს ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირებადი კანონის შეზღუდვა. იმ კანონისა, რომელსაც გარედან რაიმე დახმარების გარეშე შეუძლია მიაღწიოს ეკონომიკაში წონასწორობის დონეს. ე.ი. ნეოკლასიკური მიდგომა არ მოითხოვს ბაზრის გამანაწონასწორებელ მექანიზმში სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების უშუალოდ ჩარევას. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი განსხვავება კეინზიანური თეორიისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ დინამიური წონასწორობის მექანიზმი არამყარია და კატეგორიულად მოითხოვს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის უშუალო ჩარევას.

ნეოკლასიკური მოდელის ფუძემდებელი იყო **ჯონ სტიუარტ მილი**, რომლის აზრით სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა არაპირდაპირი როლი ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში. თავისი ხარჯების შესაძლო უსაზღვრო მატების ტენდენციის გამო, იგი სახელმწიფოს თვლიდა ეკონომიკაში დესტაბილიზაციის შემტან ფაქტორად, ე.ი. უარყოფდა მის პირდაპირ ჩარევას ეკონომიკაში. ნეოკლასიკოსები უპირატესობას ანიჭებდნენ მხოლოდ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და არ ითვალისწინებდნენ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას. ისინი თვლიდნენ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით შეიქმნებოდა შემოსავლების გადანაწილების ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სრულ დასაქმებას და ეროვნული სიმდიდრის ზრდას.

ნეოკლასიკურ თეორიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ორმა ძირითადმა მიმართულებამ: „მინოდების ეკონომიკის“ თეორიამ და მონეტარისმმა.


მინოდების ეკონომიკის თეორია ჩამოაყალიბეს 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა მეცნიერებმა **მ. ბერნსმა**, **გ. სტიანმა**

და **ა. ლაფერმა**. ეს თეორია კეინსიანურ თეორიაზე უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადასახადებს და მას განიხილავს როგორც ეკონომიკის რეგულირებისა და განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. ეს თეორია ითვალისწინებს გადასახადების შემცირებას და კორპორაციებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას, რადგანაც ამ თეორიის მიმდევართა აზრით მაღალი გადასახადები აფერხებენ სამენარმეო ინიციატივას და ამუხრუჭებენ საინვესტიციო პოლიტიკასა და წარმოების განახლება-გაფართოებას. ისინი მოითხოვენ სახელმწიფო ხარჯების აუცილებელ შემცირებას. ამ თეორიის მთავარი არსი არის ის, რომ ბაზრის ყველაზე კარგი რეგულატორი თვითონ ბაზარია, ხოლო დიდი გადასახადები და სახელმწიფო რეგულირება მხოლოდ და მხოლოდ ხელს უშლიან ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას.

თავის დროზე ადამ სმიტმა გარკვევით მიგვითითა, რომ გადამხდელის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით სახელმწიფო უფრო მეტ სარგებელს ნახულობს, ვიდრე პირიქით. დაბალი განაკვეთებით დაბეგვრის შედეგად ხდება თანხების გამოთავისუფლება, რომლიდანაც შემდგომ დამატებითი შემოსავალი მიიღება იგივე გადასახადების სახით. ამასთან გადამხდელი უფრო თავისუფლად ახდენს გადასახადების გადახდას, რაც ამცირებს გადასახადების აკრეფის ღონისძიებებზე დანახარჯებს.

აღნიშნული თეორიის მთავარი არსი შემდგომში მდგომარეობს: მაღალი დასაბეგრი განაკვეთები უარყოფითად მოქმედებენ, როგორც სამენარმეო, ასევე საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას. ამიტომ ამ თეორიის მთავარი მოთხოვნაა შევამციროთ დასაბეგრი განაკვეთები და მივცეთ სანარმოებსა და კორპორაციებს ყველა შესაძლო შეღავათი დაბეგვრის განხორციელებისას.

პროფესორმა **არტურ ლაფერმა** ნახაზზე პარაბოლის საშუალებით გვიჩვენა თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს პროგრესულ დაბეგვრის სისტემასა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის (ნახ. 1.).




ნახ.1. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დამოკიდებულება დაბეგვრის დონეზე

ამ ნახაზზე მოცემულ პარაბოლაში ჩადებულია შემდეგი იდეა: „რაც უფრო მაღალ ზღვარს უახლოვდება საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო მეტად იქნება მოტივირებული ინდივიდების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება. „ხალხი არ მუშაობს იმისათვის რომ იხადოს გადასახადი“ – ა. ლაფერი.

თუკი მენარმემ ვერ დაინახა მოგების მიღების პერსპექტივა და ნორმალურად ფუნქციონირებადი ბაზრის პირობებში მოხდა მისი დისკრიმინაცია მაღალი და პროგრესული გადასახადებით, მაშინ ეკონომიკური აქტიურობის დონე განიცდის დაცემას და მენარმის ჩართვა აქტიურ ნარმოების პროცესში ფუჭ იდეად იქცევა. ლაფერი თვლის რომ ეკონომიკის აყვავებისათვის მთავარ მამოძრავებელ ძალას ნარმოადგენს მეურნე აგენტების დაინტერესება.

საგადასახადო განაკვეთის ზრდა გარკვეულ ზღვრამდე, ნიშნულამდე, ახდენს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ამ ნიშნულს ზემოთ მათი ზრდა კი იწვევს შემოსავლების ცოტაოდენ შენელებას, შემდეგ უკვე გრძელდება ბიუჯეტის შემოსავლების ნელი ტემპით შემცირება, იშვიათად კი ხდება მისი მკვეთრი დაცემა, ე.ი. როცა სა-

გადასახადო განაკვეთი აღწევს გარკვეულ დონეს ხდება სამენარმო ინციატივის დაცემა, არ ხდება წარმოების მასშტაბების გაზრდის სტიმულირება, იკლებს მენარმის შემოსავლები, რომლებიც ექვემდებარება დაბეგვრას. რის შედეგადაც გადამხდელი „ლეგალური“ ეკონომიკის სექტორიდან გადადის „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის სექტორში. ა. ლაფერის თეორიით ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია საგადასახადო სისტემასთან, ე.ი. გადასახადების ზრდა ახდენს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას. გადამხდელი ლეგალურად, თუ არალეგალურად თავს არიდებს გადასახადებს. რის შედეგადაც შემოსავლების დიდი ნაწილი რჩება არადეკლარირებული. (ნახ.2.)



ნახ.2. ეკონომიკური აქტიურობის დონისა და საგადასახადო ბაზის დამოკიდებულება დაბეგვრის დონის ცვლილებაზე

ა. ლაფერი თვლის რომ მიღებული შემოსავლების 30%-მდე ამოღების შემთხვევაში იზრდება ბიუჯეტის შემოსავლების დონე, ხოლო 40%-დან 50%-მდე შემოსავლების ამოღებისას, როცა საგადასახადო განაკვეთი ხდება „აკრძალულ ზონაში“ (ნახ.1.) მოსახლეობის დანაზოგი მცირდება, რაც იწვევს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტირების შემცირებას და საგადასახადო შემოსავლების შემცირებას. გადასახადების შემცირება კი, პირიქით იწვევს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას, რასაც შემდგომში მოჰყვება სახელმწიფო შემოსავლების ზრდა არა საგადა-

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სახადო განაკვეთის ზრდის შედეგად, არამედ დასაბეგრი ბაზის ზრდის შედეგად. ამ თეორიის ზოგიერთი ასპექტებით ისარგებლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საგადასახადო რეფორმის ჩატარებისას XX საუკუნის 20-60-იან წლებში, ხოლო მისი განახლებული ვარიანტით 80-იანი წლების რეფორმებისას.

მონეტარიზმის თეორია ამ საუკუნის 50-იან წლებში წამოაყენა ცნობილმა ეკონომისტმა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა **მილტონ ფრიდმანმა**. ის ეყრდნობა ადრინდელ ფულის რაოდენობრივ თეორიას. ფრიდმანი თავისუფალი ბაზრის იდეის მიმდევარია. ის გვთავაზობს, რომ სახელმწიფო შემოიფარგლოს მხოლოდ ისეთი სფეროს რეგულირებით, როგორცაა ფული და ფულადი ბრუნვა, რადგანაც სხვა ძალას მისი კონტროლირების საშუალება არ გააჩნია. მონეტარიზმის თეორიაც ნაწილობრივ მხარს უჭერს საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, მაგრამ წინა თეორიებისაგან განსხვავებით ამ თეორიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ეკონომიკის რეგულირების ძირითად საშუალებას წარმოადგენს მიმოქცევაში ფულადი მასის სიდიდისა და ბანკებში საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილება. სახელმწიფო ყოველწლიურად ახდენს უფრო და უფრო მეტი სახსრების ხარჯვას, რაც იწვევს ინფლაციის დონის დამატებით ზრდას, ამიტომ, ფრიდმანის აზრით, სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნაში, უფრო სწორად არ უნდა დაუშვას მისი ჩარევა ამ სფეროში. არ უნდა დავუშვათ აგრეთვე, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ფასების, დასაქმების დონისა და ნარმოების მოცულობის რეგულირება. მაგრამ მას შეუძლია მოახდინოს მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირება – ჭარბი ფულის მიმოქცევიდან ამოღებით, სესხების ან გადასახადების მეშვეობით. ამგვარად, ფულადი მასისა და საპროცენტო განაკვეთის მანიპულირება და მისი შეთანაწყობა საგადასახადო დონის შემცირებასთან საშუალებას იძლევა შეიქმნას სტაბილური ფუნქციონირების მექანიზმი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის საწარმოებისათვის.

მონეტარიზმის თეორიაში გადასახადებს არ ენიჭება ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც კეინზიანურ თეორიაში. ფრიდმანის

კონცეფციაში გადასახადები გამოდის ფულადი მასის მოძრაობაზე მოქმედი სხვა მექანიზმების გვერდით. კერძოდ, გადასახადების საშუალებით ხდება ქარბი ფულის მასის ამოღება მიმოქცევიდან. მონეტარისტულ თეორიაში, ისევე როგორც კეინზიანურ თეორიაში, ამცირებენ ეკონომიკის განვითარების არახელსაყრელ ფაქტორებს. მაგრამ, თუ **მონეტარისტებთან** ამ ფაქტორს წარმოადგენს ქარბი ფული, **კეინზიანელებთან** ეს ფაქტორია – ქარბი დანაზოგი.

ნეოკლასიკური თეორიების ძირითად იდეას წარმოადგენს ინფლაციის შენელება. საგადასახადო შეღავათების მინიჭება კორპორაციებისა და მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც ახდენს დიდი რაოდენობით სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირებას ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ნეოკლასიკური თეორიები საკმაოდ პოპულარულია და პრაქტიკულადაც ხშირად ხდებოდა მისი გამოყენება, მთლიანი შეცვლა ეკონომიკის რეგულირების კეინსიანური მეთოდებისა არ მომხდარა. კეინზიანური თეორიის განვითარებაშიც წარმოიშვა ახალი მიმდინარეობები, რომლებიც წარმოადგენენ მის სინთეზს ნეოკლასიკური თეორიის ზოგიერთ მიმართულებასთან.

ნეოკეინზიანური თეორიის წარმომადგენლებია ინგლისელი ეკონომისტები **სტენლი ფიშერი**, **ნიკოლას კალდორი** და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ აუცილებელია დაბეგვრის ობიექტების მოხმარებასთან მიმართებით განცალკევება, რომ დაიბეგროს მოხმარებული პროდუქციის საბოლოო ღირებულება და ანაბრების საპროცენტო განაკვეთი. აქედან წარმოიშვა მოხმარებიდან გადასახადის იდეა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს დანაზოგების წახალისებისა და ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებას. ფული, რომელიც ადრე განკუთვნილი იყო სამომხმარებლო საქონლის შეძენისათვის, ახლა შეიძლება მიმართული იყოს ინვესტირებისათვის ან დაგროვებისათვის, რომელიც გადაიქცევა კაპიტალდაბანდებად ჩვენთვის ცნობილი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით – „ქარბი დაგროვების ამოღებით“. გრძელვადიანი დანაზოგები უკვე თავისთავად წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორს.

წარმოების დაცემის დროს გასავალი-ხარჯები სამომხმარე-

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ბლო ბაზარზე მცირდება უფრო ნელა, ვიდრე შემოსავლები, რაც ინვესს მოთხოვნის მნიშვნელოვან გაზრდას. ამიტომ მოხმარებაზე გადასახადიდან მიღებული შემოსავალი საკმაოდ მატულობს, ვიდრე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას. ამგვარად გადასახადო სისტემას არ შეუძლია „ჩაშენებული რეგულატორის“ როლის შესრულება.

ნიკოლას კალდორი თვლიდა რომ **მოხმარებაზე გადასახადი** პროგრესული განაკვეთით, ცალკეული საქონლის სახეებზე დათმობებისა და შეღავათების გამოყენებით უფრო სამართლიანია, ვიდრე რეალიზაციიდან ფიქსირებული გადასახადი დაბალშემოსავლიანი ადამიანებისათვის. გარდა ამისა საშემოსავლო გადასახადთან შედარებით ეს გადასახადი არ ბეგრავს დანაზოგს, რომელიც აუცილებელია შემდგომი ინვესტირებისათვის, პირიქით ასტიმულირებს მათ ზრდას.

დღესდღეობით არ არსებობს ეკონომიკური რეგულირების ერთი რომელიმე ჭეშმარიტი თეორია. ამიტომ საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, სადაც პრაქტიკულად გამოიყენება რეგულირების მეთოდები, ხდება სამი ძირითადი კონცეფციის ურთიერთქმედება: კეინზიანური თეორიის სხვადასხვა მიმართულების, „მიწოდების ეკონომიკის“ თეორიისა და „მონეტარიზმისა“. თუმცა ნეოკლასიკური მიმართულებები უფრო ხშირად გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების თეორიულ საფუძვლად, მაგრამ თანამედროვე მეცნიერები აღარ გამოყოფენ ამ მეთოდებს კეინზიანურისაგან, რადგანაც თავის ნაშრომებში ამტკიცებენ მათ ურთიერთშელეწევადობას.

ცნობილი ეკონომისტი **პოლ სამუელსონი**, თავის ნაშრომში „**ეკონომიკა**“, აღიარებს სახელმწიფოს გამწვანებლობას და გვთავაზობს მისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების კონკრეტულ გზებს, რომლებშიც ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი უკავია გადასახადებს. ამასთანავე ის გვევლინება დაბეგვრის სისტემაში პროგრესულობის მომხრედ. იგი აღნიშნავს: „გადასახადების სტრუქტურა უნდა იყოს ისეთი, რომ მისი დახმარებით საბაზრო მექანიზმით განსაზღვრული შემოსავლები გადანაწილებული უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად“.

პ. სამუელსონთან კლასიკური და კეინზიანური შეხედულებები ერთმანეთში გადახლართულია, მაგრამ მას ეს სულაც არ უშლის ხელს მოგვცეს საჭირო რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ ფისკალური პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით. გამოიკვლია რა სხვადასხვა კონკრეტული გადასახადების „პირდაპირი, პროპორციული და პროგრესული დაბეგვრის პრინციპებთან დაკავშირებული თვისებები, სამუელსონი კონკრეტულ შემთხვევებში მიგვითითებს მათ შესაძლო რეგრესულ შედეგებზე. სწორედ ამას შეუძლია გამოიწვიოს წამქეზებელი მოტივების შესუსტება მოქალაქეთა საქმიანობაში და საზოგადოებრივი რესურსების გამოყენების ეფექტურობის შემცირება. საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს ანონილი და მოფიქრებული, გადანყვებილი თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდების დახმარებით. არ შეიძლება, აგრეთვე, ყურადღება არ მივაქციოთ ორმაგი დაბეგვრის პრობლემას და არ გავითვალისწინოთ ”გადასახადების „გადაკისრების“ უარყოფითი გამოვლინებები¹. საგადასახადო სისტემა ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, ზოგჯერ ის პირდაპირ გავლენას ახდენს ფასებსა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ამიტომ აუცილებელია გადასახადების ზემოქმედება განვიხილოთ პროგრესულობის თვალსაზრისით.

კერძოდ, პ. სამუელსონმა დაასაბუთა თავისი შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისათვის აუცილებელია საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთმანეთთან ურთიერთკავშირში ფორმირება. პ. სამუელსონის აზრით ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალური ინტეგრირება არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარების არასასურველი მოვლენების შერბილებას, არამედ შექმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელი იქნება სტაბილური განვითარება.

მკვლევარი-ეკონომისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ გამოყენებით მეცნიერებებს, უთმობენ რა გადასახადებს თავის

1 ორმაგი დაბეგვრის პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, OCDE-მ შეიმუშავა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით მისი ხელმომწერი ქვეყნები ახერხებენ ამ პრობლემის ნაწილობრივ დაძლევას.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

თეორიულ გამოკვლევებში ეკონომიკური პროცესების რეგულატორის როლს. რამდენადაც საგადასახადო თეორიებმა უკვე დაამტკიცეს მათი ობიექტურობა, ამდენად აუცილებელია გავაკეთოთ ისე, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ საგადასახადო სისტემის ყველა ფუნქციონალური უპირატესობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორია გვიჩვენებს საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებისა და სტრუქტურის მრავალფეროვნებას. მაგრამ ამ პოლიტიკას ჩვეულებრივ გააჩნია შემდეგი მიზანი: სტიმულირება გაუწიოს ან შეზღუდოს მეურნე სუბიექტების საქმიანობა, უზრუნველყოს ბიუჯეტი შემოსავლებით, შეასრულოს საზოგადოებრივი ინტერესები. საგადასახადო შეღავათებით ვარირება, მათი დიფერენციაცია კი საშუალებას იძლევა ზემოქმედება მოვახდინოთ წარმოების დინამიკასა და სტრუქტურაზე კაპიტალდაბანდებებზე და დასაქმებაზე, აგრეთვე შემოსავლების გადანაწილებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იან წლებში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმა მოწმობს, ამერიკელი ეკონომისტების მიერ დაგროვილი თეორიული გამოკვლევებისა და პრაქტიკული ჩვევების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას გარკვეული დროისათვის. საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ ამ თანამედროვე საგადასახადო სისტემის აგების პრინციპებზე, რომლებიც ჩადებული იყო განხორციელებული რეფორმის საფუძველში:

1. სამართლიანობა ვერტიკალურად – როცა გადასახადი შეესაბამება გადამხდელის მატერიალურ შესაძლებლობებს;
2. სამართლიანობა ჰორიზონტალურად – ერთიანი საგადასახადო განაკვეთის გამოყენება ერთი და იგივე სახის შემოსავლებზე;
3. ნეიტრალურობა – საინვესტიციო დაბანდებების სფეროსაგან დამოუკიდებლობა;
4. სიმარტივე – გამოთვლაში, გაგებაში...

დღესდღეისობით საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა ნაკლებეფექტურია. მისი საშუალებით შეუძლებელია ნორმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. ამის მიზეზია ის, რომ საგადასახადო სისტემის ფორმირება დაიწყო და დღესაც

გრძელდება სათანადო თეორიული საფუძვლების გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული საგადასახადო სისტემის სიმძიმე ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, მცირდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა.

შეიძლება ითქვას რომ, ჯერ-ჯერობით არ არის აღიარებული რომელიმე ჩვენს მიერ განხილული თეორიული მოდელი, როგორც ყველა ქვეყნისათვის მისაღები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სასურველი შედეგის მიღწევა ხდება ძირითადი კონცეფციების ურთიერთქმედებით.

საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის ყოველთვის არ არის საკმარისი მისი აგების პრინციპების, გადასახადების, მათი სახეებისა და ფორმების ცოდნა. ამიტომ თანამედროვე საგადასახადო თეორიები თავის გამოკვლევებს აგებენ მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზზე, რომლის საშუალებითაც ხდება პოზიტიური და ნეგატიური შედეგების გამოვლინება და გვეძლევა მისი შემადგენელი ელემენტების კორექტირების საშუალება. ამის შემდეგ ხორციელდება გადასახადების მოქმედებისათვის ოპტიმალური ზღვრის მიგნება და მის ფარგლებში შესაძლო რეგულირება მეტი ფისკალური ეფექტისა და წარმოების სტიმულირების მიზნით.

Resume

Zurab Vashakidze, Irakli Kacadze

The Tax Theories and their Modern Interpretation

Consistency and commitment of the theoretical means and methods suggested by scientists of different economic fields have to be considered during macroeconomic management in order to easily solve significant tasks that are essential for the economic development of the society, i.e. it is necessary to put careful thinking into the methods of economic regulation and make corrections with the purpose to reach the desired outcome.

რუსეთის ბაზრის პერსპექტივა - ილუზია თუ რეალობა?

ქეთევან მარშავა

ეკონომიკურ მეცნიერებათ დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პროფესორი

ლია ძევისაური

ეკონომიკის დოქტორი,
საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების
სტატისტიკის სამმართველოს უფროსი

საქართველოსთვის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს ტრადიციულად უახლოესი მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ. „მეზობლური“ უპირატესობისა და მაკრო დონეზე მსოფლიო ინტერესების გათვალისწინებით, საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ყველაზე მიმზიდველ ბაზრად რუსეთი მოიაზრებოდა. ასეც იყო ქართულ რეალობაში მანამდე, სანამ რუსეთი ქართული პროდუქციის იმპორტზე ემზარგოს გამოაცხადებდა.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს მზერა კვლავ ჩრდილოეთით არის მიპყრობილი. ისტორია მეორდება და წლების მანძილზე გაწყვეტილი კავშირები და დანგრეული ურთიერთობები კვლავ აღდგენის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა. როდის გაუქმდება სრულად „პოლიტიკური ემზარგო“, რომელიც რუსეთის ფედერაციამ 2006 წელს შემოიღო? ეს კითხვა დღითიდღე უფრო მეტ აქტუალობას იძენს.


თუმცა, რა იყო და რა რჩება ჩრდილოელი მეზობლის ინტერესის შესანარჩუნებლად საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში? რამდენად შესწევს ძალა და ყოფნის რესურსები ჩვენს ქვეყანას იმ ფუფუნებით ისარგებლოს, რასაც რუსეთის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის ექსპორტი ჰქვია? ჭირდება კი ამხელა იმპერიას სწორედ ის პროდუქტი, რისი წარმოებისა და სხვა ქვეყნების

ბაზარზე გატანის შესაძლებლობაც საქართველოს გააჩნია? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ემზარგოს მოხსნაზე არანაკლები მნიშვნელობისაა.

რეალური პერსპექტივის გამოსავლენად და პრაგმატული თეორიის ჩამოსაყალიბებლად ვეცადეთ გადაგვეხედა შორეულ და უახლოეს წარსულში საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობაში ჩამოყალიბებული ტენდენციები.

2013 წლის მიხედვით რუსეთში უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულიდან, იმ საქონლის ელიმინირებით, რომლებიც ექსპორტირებულია რექსპორტის რეჟიმის საფუძველზე, რჩება ხუთი სასაქონლო პოზიცია - ღვინო, მინერალური და მტკნარი წყლები, ელექტროენერგია, სპირტიანი და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1.



2006 წლის გაზაფხულამდე, როცა მოსკოვმა რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანა აკრძალა, ქართული მინერალური წყლების ექსპორტის თითქმის 65 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა. სავაჭრო ემზარგოსთან ერთად, 2006 წელს რუსეთმა ასევე დაიწყო საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადა, რამაც მძიმე დარტყმა მიაყენა, ათწლეულების მანძილზე რუსეთის ბაზარზე ორიენტირებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვან

აქონობის ტერიტორიის თანამართლება პრობლემა

დარგებსაც, მათ შორის, მეციტრუსეობას, მეჩაიეობასა და მეხილეობას. ყველაზე მძიმე ზარალი მაინც ღვინის მწარმოებლებმა მიიღეს. საქართველოში ერთ-ერთი სტრატეგიული დარგი სწორედ მეღვინეობაა. განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა კონკურენტული უპირატესობით. ამას განაპირობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი თავისებურება და განუყოფელი ნიშან-თვისება ყურძნის იშვიათი ჯიშების არსებობა და ღვინის დაყენების უნიკალური ტექნოლოგიაა.


ამ მხრივ საქართველოსთვის ყოველთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი და გახსნილი რუსეთის ბაზარი იყო. 2000 წლიდან 2006 წლის ჩათვლით პერიოდში საქართველოსთვის ღვინის საექსპორტო ქვეყნების ნუსხა რუსეთით იწყებოდა. 2006 წლამდე ქართულ ღვინოს რუსეთის ღვინის ბაზრის 10 პროცენტზე მეტი ეკავა, რაც საქართველოს ღვინის მთელი ექსპორტის 74-80 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. 2005 წელს საქართველოდან ექსპორტზე 81 მლნ. აშშ დოლარის ღვინო გავიდა, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ, ეს მონაცემი ჯერ განახევრდა, 2007 წელს კი ღვინის ექსპორტი 29 მილიონ აშშ დოლარამდე დაეცა. 2008 წლიდან, ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე, ექსპორტი გაიზარდა. 2013 წლის იანვარ-სექტემბერში ღვინის ექსპორტმა 74 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა და რუსეთის წილმა 30 პროცენტი შეადგინა. ემბარგოს მოქმედების ბოლო წელს და მისი მოხსნის შემდეგ, ღვინის ექსპორტში ქვეყნების წილი რამდენადმე შეიცვალა და რუსეთის მიმართ რადიკალურად (დიაგრამა №2 და №3).

2006 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის წლიურმა ღირებულებამ ვერ გადააჭარბა 2005 წელს მხოლოდ რუსეთში ექსპორტირებული ღვინის ღირებულების მაჩვენებელს (დიაგრამა №4).

ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 2013 წლის იანვარ-სექტემბერში 2006 წელთან შედარებით 5.5 მლნ. აშშ დოლარით


დიაგრამა №2.


უმსხვილესი ქვეყნების წილი ღვინის ექსპორტში 2012 წელს



დიაგრამა №3.

უმსხვილესი ქვეყნების წილი ღვინის ექსპორტში
2013 წლის იანვარ-სექტემბერში





გაიზარდა, თუმცა აღნიშნული ზრდა მხოლოდ ფასის ცვლილებაში გამოიწვია, კერძოდ რუსეთში 2006 წელს 1 ლიტრი ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი 2 დოლარი, ხოლო 2013 წლის იანვარ-სექტემბერში 3.6 დოლარი დაფიქსირდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ექსპორტირებული ღვინის მოცულობისა და საექსპორტო ფასების დინამიკა უდავოდ დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რადგან 7 წლის პაუზის შემდეგ, 2013 წლის ივნისიდან, ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე კვლავ დაბრუნდა და მხოლოდ ოთხ თვეში 22.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

FAO-ს სტატისტიკური მონაცემები რუსეთის ფედერაციის სასურსათო ბალანსებიდან ცხადყოფს, რომ რუსეთში ღვინით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არც თუ ისე მაღალია და მეტიც, 2006 წლიდან ეს მაჩვენებელი თანაბრადკლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2009 წლის მონაცემებით ის მხოლოდ 50 პროცენტს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოხმარებული ღვინის დაახლოებით ნახევარი იმპორტირებულია¹.

ღვინო საქართველოს საექსპორტო ათეულში ტრადიციულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და რუსეთის ემბარგოს მიუხედავად 2007 წლიდან ყოველწლიურად იზრდება კიდევ მისი

1 http://faostat3.fao.org/faostat-gateway/go/to/download/FB/*/*E.

მოცულობა. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ საკუთარი წარმოების ღვინით დააკმაყოფილოს ქვეყნის შიდა მოთხოვნა და ამასთანავე მოახდინოს მისი ექსპორტი¹. 2012 წლის მონაცემებით, საქართველოში ყურძნით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 127 პროცენტს შეადგენს და დინამიკაც გვიჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი ტრადიციულად საკმაოდ მაღალია. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ღვინოს საკმაოდ კარგი შანსი ეძლევა საკუთარი თავი კვლავ დაიმკვიდროს რუსეთის ბაზარზე.

მეორე პოზიციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინერალური წყლები იკავებს, რომლის საწარმოებლად საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია. ჩვენი ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, ამასთან, ეს რესურსები საკმაოდ კარგი ხარისხისაა და მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება.

მინერალური წყლის ექსპორტის დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი №1). ამ საქონლის ექსპორტმა მაქსიმალურ მაჩვენებელს 2013 წლის იანვარ-სექტემბერში მიაღწია და 72.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთის წილი მინერალური წყლების ექსპორტში ემბარგომდე 70 პროცენტს აჭარბებდა. ემბარგოს მოხსნის შემდეგ, ეს მაჩვენებელი 24 პროცენტით განისაზღვრა. რაც შეეხება საშუალო საექსპორტო ფასს, რუსეთში 34 პროცენტით მაღალია მთლიანად საშუალო საექსპორტო ფასზე.

მინერალური წყლების საექსპორტო ქვეყნების პირველ ხუთეულს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები შეადგენენ (დიაგრამა №5).

რუსეთის ემბარგოს შემდეგ, 2006 წელთან შედარებით მინერალური წყლების ექსპორტი საქართველოდან კვლავ გაიზარდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა, რომელიც დღეისათვის ამ საქონლის პირველი ექსპორტიორი ქვეყანაა საქართველოს რეიტინგში, თავისი მაქსიმალური მაჩვენებლით 0.9 პროცენტით ჩამორჩება რუსეთში მინერალური წყლების ექსპორტის 2005 წლის მაჩვენებელს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ბაზარი ამ დარგისთვისაც საკმაოდ მიმზიდველია.

1 საესტატი - http://www.geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo.


მინერალური წყლის ექსპორტი							
წ.	სულ ექსპორტი			რუსეთში			რუსეთის წილი (%)
	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი	საშ. საექსპორტო ფასი 1ლ-\$	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი	საშ. საექსპორტო ფასი 1ლ-\$	
2000	9.4	35.6	0.26	7.2	29.1	0.25	76
2001	11.7	40.3	0.29	9.2	33.6	0.28	79
2002	17.3	66.2	0.26	13.0	53.9	0.24	75
2003	19.7	76.5	0.26	13.9	60.1	0.23	71
2004	19.3	74.9	0.26	13.6	59.6	0.23	71
2005	32.5	119.5	0.27	23.7	94.8	0.25	73
2006	24.0	68.6	0.35	10.9	35.9	0.30	45
2007	25.4	58.6	0.43	-	-	-	-
2008	31.0	63.1	0.49	-	-	-	-
2009*	24.7	52.8	0.47	0.0	0.0	0.52	0
2010	36.9	77.3	0.48	-	-	-	-
2011	47.6	87.9	0.54	-	-	-	-
2012*	59.3	88.6	0.67	0.1	0.2	0.53	0
2013 01-09	72.8	89.9	0.81	17.7	16.4	1.08	24

*რუსეთში განხორციელდა რეექსპორტი.

ეროვნული წარმოების საექსპორტო ხუთეულში მესამე ადგილზე ელექტროენერგია იმყოფება. ჰიდრორესურსებით მდიდარ საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია, რაც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნა, ისე განხორციელდეს ელექტროენერჯის ექსპორტიც.

2010 წელს საქართველოსთვის ელექტროენერჯის ექსპორტის


დიაგრამა №5.



რეკორდული მოცულობა 1.5 მლრდ. კვტ. სთ დაფიქსირდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ ექსპორტის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა და 2013 წელს 361 მლნ. კვტ. სთ შეადგინა.

უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნად კვლავაც რუსეთი რჩება (დიაგრამა №6) და მისი წილი ელექტროენერჯის მთლიან ექსპორტში 2013 წლის იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით 71 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა №6.



აქონობის თარიღის თანამართლება პრობლემა

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მზარდ ტენდენციას (ცხრილი №2).

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

	მლნ. აშშ დოლარი						
	2007	2008	2009	2010	2011	2012	I-II კვ. 2013*
სულ	2,014.8	1,564.0	658.4	814.5	1,117.2	911.6	458.6
მათ შორის:							
ენერგეტიკა	362.6	294.9	-2.1	21.9	204.0	179.4	108.2
დამამუშავებელი მრეწველობა	312.1	188.3	124.8	175.3	120.3	167.9	70.4
საფინანსო სექტორი	157.7	10.9	49.7	107.4	167.7	162.6	78.3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416.7	422.7	98.4	215.1	126.5	72.8	57.9
მშენებლობა	171.9	56.7	105.2	4.7	48.1	41.8	37.2
დანარჩენი სექტორები	593.9	590.5	282.4	290.1	450.6	287.0	106.5

საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და ამ სფეროში შესამჩნევი მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იძლევა იმის იმედს, რომ ელექტროენერჯის წარმოება და შესაბამისად ექსპორტიც მომავალში კვლავ გაიზრდება.

მეოთხე პოზიციაზე რუსეთთან ექსპორტში ფიგურირებს სპირტიანი სასმელები. აღსანიშნავია, რომ თავად რუსეთი, საქართველოდან ექსპორტირებული სპირტიანი სასმელების ქვეყნების რეიტინგში, 2013 წლის იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით, მხოლოდ და მხოლოდ მერვე ადგილზე იმყოფება და მთლიანი ექსპორტის 3 პროცენტს შეადგენს.

მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იყო 2000-2005 წლებში, როცა რუსეთი ლიდერის პოზიციას იკავებდა. ამ პერიოდში მისი წილი სპირტიანი სასმელების მთლიან ექსპორტში 64-87 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა (ცხრილი №3).


სპირტიანი სასმელების ექსპორტი							
წ.	სულ ექსპორტი			რუსეთში			რუსეთის წილი (%)
	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი	საშ. საექსპორტო ფასი 1ლ-\$	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი	საშ. საექსპ. ფასი 1ლ-\$	
2000	3.0	1.3	2.3	2.0	1.2	1.7	67
2001	3.9	2.3	1.7	3.4	2.0	1.7	87
2002	5.6	2.7	2.1	4.3	2.2	2.0	77
2003	13.1	3.9	3.3	9.0	2.4	3.8	69
2004	18.9	4.0	4.8	14.2	2.7	5.3	75
2005	29.2	5.6	5.2	18.8	2.7	6.9	64
2006	30.1	6.7	4.5	6.0	0.5	12.0	20
2007*	57.4	19.3	3.0	0.0	0.0	27.6	0
2008*	59.0	12.5	4.7	0.4	0.0	52.4	1
2009*	54.0	14.9	3.6	0.1	0.0	101.6	0
2010	55.7	11.2	5.0	-	-	-	-
2011*	67.9	11.7	5.8	0.1	0.0	110.8	0
2012*	80.0	13.2	6.1	0.2	0.0	64.1	0
2013 01-09	61.8	7.0	8.9	2.0	0.1	18.9	3

*რუსეთში განხორციელდა რექსპორტი.

რუსეთში სპირტიანი სასმელების ექსპორტის დინამიკური მწკრივის საწყისი და ბოლო დონეები თანაბარია (დიაგრამა №7).

თუმცა თუ ნატურალურ მაჩვენებლებს გადავხედავთ, მდგომარეობა უფრო სავალალოა, რადგან 2013 წლის იანვარ-სექტემბერში რუსეთში ექსპორტირებული სპირტიანი სასმელების მოცულობა 1.1 მლნ. ლიტრით ნაკლებია 2000 წლის მაჩვენებელზე.

სპირტიანი სასმელების ექსპორტი რუსეთში (მლნ. აშშ დოლარი)



ფულადი სახსრების ნაკადად არ ჩაითვლება ფულად სახსრებად და ფულადი სახსრების ეკვივალენტებად კლასიფიცირებულ მუხლებს შორის მოძრაობა, რადგან ასეთი მოძრაობა უფრო ფულადი სახსრების მართვასთან არის დაკავშირებული, ვიდრე საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა.

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები გვიჩვენებს, გააჩნია თუ არა საწარმოს სესხების დასაფარავად, საწარმოო სიმძლავრეთა შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფული, ისე რომ მან არ გამოიყენოს დაფინანსების გარეშე წყაროები. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები წარმოიქმნება იმ საქმიანობიდან, რომელსაც საწარმოსათვის ძირითადი შემოსავლები მოაქვს. **საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული** ფულადი ნაკადებია: ძირითადი საშუალებებისა და

არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები და ა. შ. **საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია:** აქციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები; ობლიგაციების, თამასუქების, სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები; სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები და ა. შ.

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს განმარტებითი შენიშვნები, სადაც განხილულ უნდა იქნეს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. ბასს 1-ის “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” თანახმად, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

- ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლებისა და სანარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ;
- ფასს-ის მოთხოვნებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის;
- დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, მაგრამ აუცილებელია სანარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად.

განმარტებით შენიშვნებში სანარმომ უნდა გააშუქოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე. სანარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად საკმარისი არაა ის ინფორმაცია, რომელიც ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაშია ასახული. ამოტომ საჭიროა აქტივების, საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი მუხლების დეტალური აღწერა.



ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი



ბიზნესის პოიკის რეალიზური ასპექტები

ზურაბ ჯორბენაძე
ედ, სტუ პროფესორი

ეთიკა ადამიანის ცხოვრების სოციალური მხარეა და იგი სხვა ადამიანთან მიმართებაში წარმოჩინდება და რეალიზდება; ამასთან ერთად ეთიკა სწორედ ადამიანში ჰპოვებს ასახვას და, გარკვეული აზრით, მის სოციალურ სახეს წარმოსახავს. ამდენად, ეთიკის კატეგორია პასიური სრულებით არ არის; იგი ადამიანის საერთო ადამიანურ სახეს შესაბამის დატვირთვას აძლევს და საბოლოო ჯამში მის მორალურ სახეს წარმოაჩენს. აღნიშნული გამოებიდან გამომდინარე ეთიკა, საბოლოო ჯამში, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში ამა თუ იმ ზომით ყოველთვის ესწრება, მოსჩანს და თავის ადგილს იჭერს.

ადამიანის საქმიანობის მრავალფეროვანი არეალის გათვალისწინებით ეთიკის კატეგორია მრავალმიმართებადია და ნაირგვარი სახით წარმოსდგება. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერადაც დღეს ანსხვავებენ ეთიკის სხვადასხვა სახეს, ამ სახეობათა ქვესახეობებს და ა.შ.

დღეს, მეცნიერებაში ეთიკის ერთ-ერთი სახედ განიხილება პროფესიონალური ეთიკა და ამ არეალში კი ბიზნესის ეთიკა. რამდენადაც თანამედროვე ადამიანის საქმიანობის ერთ ძალზე უმნიშვნელოვანეს სფეროდ განიხილება ბიზნესი, ამდენად სრულუფლებიანი და მოთხოვნადი გახდა ბიზნესის ეთიკის არსში ჩანვდომა და გაცნობიერება.

ბიზნესის ეთიკის წარმოშობა და არსებობა ზოგადად ცივი-

ლიზაციისა და ამ მოცემულობაში ადამიანის “ეთიკური ცნობიერების” განვითარების ლოგიკური და კანონზომიერი შედეგია. აღნიშნული ფაქტი მოთხოვნად რეალობად XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იქცა, შემდგომში კი მის მიმართ შესწავლის აუცილებლობად ჩამოყალიბდა. დღეს უკვე თითქმის დადგენილია საკითხთა მთელი სპექტრი და პრობლემათა სრული ნუსხა, სადაც შესაძლებელია ბიზნესის ეთიკის სრულად შეცნობა და ადექვატური ნაბიჯების გადადგმა.

დღეს ბიზნესის ეთიკაში ყველაზე საყურადღებო საკითხებია: უნივერსალური ეთიკისა და ბიზნესის ურთიერთდამოკიდებულების, ბიზნესისა და სანარმოს (ორგანიზაციის) ეთიკური ურთიერთმიმართების, ბიზნესზე კულტურული და რელიგიური ფასეულობების გავლენის და სხვ. საკითხთა წრე. რაც შეეხება აქ დასმულ მოცემულობებს, გასათვალისწინებელია შემდეგი ამოსავალი გარემოება: მთლიანობაში ბიზნესის ეთიკა ამ სფეროში არსებულ ვითარებას მისთვის მახასიათებელი მაკროეთიკის და მიკროეთიკის ერთიანობის ფონზე წარმართავს. ამდენად, ბიზნესის მაკროეთიკური ასევე მიკროეთიკურ მიმართების საკითხის განხილვა უბრალოდ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ დროს ერთი რანგობრივი მნიშვნელის ქვეშ ერთიანდება მორალის მაკრო და მიკრო სახეები, ხოლო ჰორიზონტალში და ვერტიკალში თანაბრად არსებითი ხდება ბიზნესის ეთიკის სრულად დაცვა და მისი წარმატებითი რეალიზაცია.

ბიზნესი და რელიგიური ფასეულობა, ბიზნესის ეთიკა და რელიგია — ეს ის საკითხებია, რომელნიც თავის მნიშვნელობას ერთმანეთის მიმართ ყოველთვის ინარჩუნებს და გარკვეული აზრით ძალიან მგრძნობიერნიც კი არის. აქ მაკროეთიკის და მიკროეთიკის არეალი, მორალის ჰორიზონტალი და ვერტიკალი თანაბრად არსებობს და ფიგურირებს; ამდენად, როცა ადამიანი ბიზნესის სფეროში საქმიანობს, იგი იღებს ამა თუ იმ სახის გადაწყვეტილებას, რაც, თავის მხრივ, ამა თუ იმ ზომით ეთიკური ნორმებით არის ზღვარდებული. ეთიკური ნორმების სახე და შინაარსი სრულებით არ არის უმნიშვნელო დამოკიდებულებაში რელიგიური მორალის

და რელიგიური ეთიკის მიმართ; უფრო მეტიც, რაღაც მომენტში, რელიგიური ეთიკა ძალზე ღირებულებას კი არის. რელიგიური მრწამსით გაჯერებული ეთიკა ზნეობრივი წესების და მორალური სტანდარტების მთელი სპექტრის ერთ-ერთი მტკიცე საყრდენია.

ბიზნესი ადამიანის საქმიანობის ისეთი სახეა, სადაც, როგორც საერთო ადამიანური დატვირთვის მქონე ღირებულებები, რეალურად ფასობს, მაგრამ აქვე ასევე მრავალი სხვა სპეციფიკური ფაქტორები და ქვედადინებები საკმაოდ გავლენიანად მოქმედებენ; მაგალითად, ის რაც ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო პირობებში უბრალოდ წარმოუდგენელია ადამიანმა ჩაიდინოს. აქ, ბიზნესში, უბრალოდ მისაღებია. კერძოდ, ადამიანი უმრავლეს შემთხვევაში არასდროს მოიპარავს წერილს სხვის ბინიდან და არ გამოიყენებს მას პირადი ან ოჯახის წევრების, ან მეგობრების სასარგებლოდ; ან კიდევ, ის რომ ჩვეულებრივ პირობებში არასწორად არის მიჩნეული, ბიზნესში კი სხვისი შრომის გაკრიტიკება, სხვისი ნაკლის გარჩევა შესაძლოა სამსახურეობრივი მოვალეობად წარმოჩინდეს; ან კიდევ, ბიზნესის პროცესის ორგანიზაციული და კონკურენტული ფაქტორების გათვალისწინებით ადამიანი იძულებული ხდება დამალოს რაიმე ფაქტი, თავი დაიძვრინოს არსებული სიტუაციიდან, თვალი დახუჭოს იმ ზიანზე, რომელიც სხვას მიადგა ან თუნდაც გაჩუმიდეს სხვადასხვა უსამართლობაზე. ყოველივე ეს ქცევის ჩვეულებრივი, საზოგადოდ მიღებული ნორმების უხეში დარღვევის კონკრეტული სახეებია და ნებისმიერი სხვა მსგავსი მოქმედება სამარცხვინოდ ითვლება და ეთიკურად მიუღებელია.

ბიზნესის წარმოება ცალმხრივი სარგებლის მიღებით არის შემოფარგლული; აქ, ბიზნესში, ადამიანის სამსახური, სამუშაო, ძალიან ხშირად ნებისთ თუ უნებლიედ ჰქმნის უჩვეულო წესებით განსაზღვრულ ქცევის ისეთ სიტუაციებს, რომელიც არსებითად განსხვავდება საზოგადოებაში მიღებული სხვა და აღიარებული სხვაგან; და ამ დროს კი ადამიანის ნებისმიერი სხვა კონტაქტის დროს ეს რაღაც “უცხო” უბრალოდ არ არსებობს. მაგალითად, როცა ადამიანი დამალავს რაიმე ფაქტს მეორე მხარის საკეთილდღეოდ,

შესაძლოა სწორად ჩაითვალოს, მაგრამ როცა ამას იგი რაიმე სარგებლის მიღების მიზნით, მის სასიკეთოდ აკეთებს, ეს სულ სხვაა. ამ სიტუაციაში მოქმედება პრინციპით “ბიზნესი-ბიზნესია” ბევრ მიუღებელ ქცევას თავის ღირებულებას ანიჭებს: მაგალითად, ის რაც სხვა ადამიანებთან მუშაობის უნარად ითვლება, ან სხვის მიმართ დაუნდობლობის სინდრომია, ბიზნესი ამ ქცევის ადამიანს პრაქტიკულ, მოხერხებულ და გამჭრიახ პირად წარმოადგენს. რამდენადაც ბიზნესი მოგების გამო სულდგმულობს, აქ მსგავსი რამ უბრალოდ ჩვეულებაც კი არის.

ადამიანის მორალური წესების დაცვა, მისი ეთიკური სახის შენარჩუნება ისეთ რთულ და მრავალგანზომილებიან საქმიანობის სფეროში, როგორც ბიზნესია, საკმაოდ ძნელად აღსასრულებელია. აღნიშნულ ვითარებას გარკვეულ წილად განმუხტავს, და აქ არსებულ რეალობას სასურველ ორბიტაზე შესაბამისი დატვირთვით წარმართავს ადამიანის ცხოვრების ისეთი სულიერი სფერო, როგორც არის რელიგია; სწორედ რელიგიის მიერ საუკუნეთა მანძილზე დადგენილი და აღიარებული ეთიკური და ზნეობრივი წესები, ადამიანის ქცევის რელიგიურად კანონიკური ნორმები შესაბამის გარემოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადად როგორც ბიზნესზე, ისე თვით ბიზნესის წარმატებაზე და განვითარებაზე.

ბიზნესზე რელიგიის გავლენის საკითხის შესწავლა არამხოლოდ თეორიული ღირებულების მატარებელია, არამედ მას უდიდესი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია. ბიზნესის რელიგიური ასპექტების განხილვა და ანალიზი, ჩვენი აზრით, ძალზე წარმატებული გზაა ისეთი საკითხების გადაჭრის მიმართულებით, როგორცაა, მაგალითად, ბიზნესსა და შრომას შორის დამოკიდებულების ხარისხის დადგენა, ან კიდევ ქვეყანაში ბიზნესის კეთების დანახარჯზე რა სახის და რა მოცულობის გავლენას ახდენს აქ არსებული რელიგიური ეთიკა, და ა.შ. აღნიშნული აზრი დღეს მით უფრო ცხოველმყოფელი და მყარი ხდება, რამდენადაც თანამედროვე ეკონომიკურ და ბიზნეს-ლიტერატურაში ბიზნესის რელიგიური საწყისების განხილვა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ბიზნესში ეთიკა გარკვეულ წილად ზერელიგიურია, მაგრამ ამასთან იგი თავისი სპეციფიკური პრინციპებით რეალიზდება; ბიზნესს, როგორც ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთ სახეს, თავისი წესები აცოცხლებს და ასაზრდოებს; აღნიშნული წესები კი ადამიანის შრომითი საქმიანობის ამ სფერომ წლების მანძილზე ჩამოაყალიბა, დროთა განმავლობაში განავითარა და შემდგომში კი დახვეწა, და ბოლოს კი სრული სახით წარმოსდგა. ამ პროცესში, ყოველთვის, გარკვეული დოზით თავის ნიშნულს ყოველთვის იჭერდა რელიგია. რელიგია — საერთო რწმენის და რიტუალების სისტემაა, რომელიც ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური წესების ჩამოყალიბების გზაზე საკმაოდ მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს, და გარკვეული აზრით ადამიანის საქმიანობაში ყოველთვის ფიგურირებს და მას ყველგან თანსდევს.

დღეს უკვე აღიარებულია, ბიზნესის გაძღოლის საერთო ზოგადი წესი და ამ წესის რეალიზაცია გარკვეულ წილად ამა თუ ზომით რელიგიის გავლენის არეალში ხვდება, ხოლო თვით ბიზნესის სახე და შინაარსი, კი შესაბამისად რელიგიურად დატვირთვადი გახდა. ამ სიტუაციაში ბიზნესი რელიგიურ “გარსაცმში” ეხვევა, და სხვა მნიშვნელოვანი მომენტების გვერდით, საკითხის განვითარების კვალობაზე ბიზნესის სახე ადექვატურად წარმოჩინდება. დღეს ცნობილი ეკონომისტების კვლევები ამტკიცებს, ძლიერ რელიგიურ რწმენას პოზიტიური ზეგავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. მათი დასკვნებით ღრმა რელიგიური რწმენა მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული აზრის ნათლად დამადასტურებელია იუდაიზმის რელიგიის და ებრაული ბიზნესის ურთიერთმიმართების სახე და თანხვედრის ხარისხი და თანაარსებობის დონე. სწორედ აქ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე უკეთ მოსჩანს როგორც ზოგადად ბიზნესზე რელიგიის გავლენის ხარისხი, ისე კონკრეტულად კი ერთი რელიგიის იდეური მრწამსით გაჯერებული ბიზნესის ერთი სახე.

დღეს, თანამედროვე ბიზნესისადმი მიძღვნილ სამეცნიერ-

რო-პოპულარულ ლიტერატურაში ფართოდ მოიკიდა ფეხი და წარმატებით ვითარდება აზრი ებრაული ბიზნესის შესახებ; აქ საუბარია არა მხოლოდ და არა იმდენად ამ სახის ბიზნესის არსებობის სამართლიანობაზე და საფუძვლიანობაზე, არამედ ამ წარმატებული ბიზნესის იდეურ საწყისებზე, ეთიკურ და ზნეობრივ წესებზე; ყოველივე ეს საბოლოო ჯამში რეალიზაციის ხელსაყრელ პირობებში ბიზნესის ერთი კონკრეტული სახის — ებრაული ბიზნესის არსებობის უფლებას იძლევა და მისი უპირატესობების წარმოჩენას განაპირობებს.

იუდაიზმის, იუდეური რელიგიის მრწამსის კანონიკური წესები ბიზნესის წარმართვის, ადამიანის საქმიანობის ამ ფორმის განხორციელების და წარმატებითი ფუნქციონირების ზნეობრივ-რელიგიური წესებია; თვით ებრაული ბიზნესი კი ამგვარი მოცემულობის ფარგლებში იძენს თავის თვითმყოფადობას და მსოფლიო ბიზნესის სისტემაში თავის ნიშას ღირსეულად იჭერს. ამ გარემოების იდეური საფუძველი და წანამძღვრები კი ბიზნესის კულტურის რელიგიური ასპექტებით არის ზღვარდებული. სწორედ აღნიშნული გარემოება ლოგიკურად განაპირობებს იმას, რომ მსოფლიო ბიზნესის სამყაროში ებრაელები თავის ღირსეულ სიტყვას ამბობენ: ყველას გაუგია როკველერთა ოჯახი და როტმილდების დინასტია, ესთი ლაუდესი და ჯორჯ სოროსი, ბილ გეიტსი და ა.შ. ისინი ხომ ზღაპრული ქონების მფლობელები არიან და მათ წარმოუდგენელ ფინანსურ წარმატებებს მიაღწიეს; ამ ადამიანებს აღნიშნული ქონებრივი მახასიათებლის გვერდით, კიდევ ერთი რამ აერთიანებს - ისინი ებრაული წარმომავლობის არიან, და მათი რელიგიური მრწამსი კი იუდაიზმია.

ებრაული ბიზნესის გაძლოლის რელიგიური საწყისები, აქ არსებული მოთხოვნები და ნორმები ერთმთლიანობაში ებრაულ ბიზნესის “ოქროს წესების” სახელით წარმოსდგება. დღეს ფაქტიურად აღიარებულია, რომ ებრაული ბიზნესის სახელით და შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ბიზნესი არის ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ის კონკრეტული შემთხვევა, სადაც რელიგიურ იდეებზე მყარად მდგარი ყოველდღიური საქმიანო-

ბა ბიზნესში მარადიული სიკეთის რეალიზაციის, სიყვარულის გამოვლენის და გამარჯვების მიღწევის გარანტიას იძლევა!

ბიზნესთან მიმართებაში იუდაიზმის დედა-აზრი ძალზე მგრძობიარე და ცხოველმყოფელია; უძველესი დროიდან მოყოლებული იუდაიზმის სულიერი ღირებულებები ებრაელთა ცხოვრების წესის განმსაზღვრელია და მას მთელი ერი, დიახ მთელი ერი, სულითხორცამდე ეთაყვანება; თვით აღნიშნული სულიერი ღირებულებების საფუძველს აყალიბებს თორა. იგი საერთო ებრაული კანონის და იუდეველთა ტრადიციული ყოფის და რელიგიური მრწამსის დედა-აზრია. ამდენად, ებრაელი მოვალეა გაეცნოს დანერილ თორას, შეიცნოს და გაიაზროს აქ გადმოცემული ღვთის 613 კანონი. ამასთან, თორას გაცნობა ებრაელთავის არ არის საკმარისი, ამასთან მან უთუოდ უნდა იცოდეს ის სხვა დეტალებიც, რაც ებრაელთა ცხოვრების ზეპირი წყაროდან წარმოიშობა და არსებობს. ამ წესების ერთობლიობა თალმუდში იყრის თავს, და იგი მიშნას, ჰალახური მიდრამის გვერდით ებრაული ცხოვრების წესს განსაზღვრავს. რელიგიამ უდიდესი როლი შეასრულა ებრაელი ერის გადარჩენაში და თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში; ამიტომაც ებრაელი შინაგანად მოვალეა ფლობდეს და სრულად იცავდეს იუდაიზმის მიხედვით დადგენილ და ჩამოყალიბებულ რელიგიურ წესებს. სწორედ აღნიშნული გარემოება სრულად აისახა ებრაელთა ცხოვრების და საქმიანობის ყველა სფეროში, და მათ შორის ბიზნესში. ამიტომაც არის რომ ებრაული ბიზნესის ეთიკაში იუდაიზმის რელიგიური ასპექტი არსებით ადგილს იჭერს და ამ ფაქტორის სრულად გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანი არის.

ბიზნესში ადამიანის მორალი და თვით მისი ფსიქოლოგია არსებითი მახასიათებლის მქონე ნიშნულია; აღნიშნული მოცემულობები თავისი არეალით შესაბამის ეკონომიკურ სივრცეში ვლინდება და რეალიზდება და შემდგომში ადექვატური მენეჯმენტის პირობებში ბიზნესის ეთიკის ერთიან სახეს აყალიბებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერია, რომ იუდაიზმის მიერ ზღვარდებული მორალი და იუდეველთა რელიგიური

ეთიკა ებრაული ბიზნესის ეთიკას აყალიბებს, ხოლო ქვეყანაში (საზოგადოებაში) დამკვიდრებული სამეწარმეო საქმიანობის პრინციპების, წესების და მეთოდების სრულად დაცვა ბიზნესის წარმატების საწინდარია.

აღნიშნულიდან გამომდინარე მთელის სიცხადით შეიძლება დავასკვანათ, რომ იზრავლის სახელმწიფოს და ეკონომიკის წარმატებების ერთ-ერთი წინაპირობა ებრაული ბიზნესი შესაბამის ბიზნეს-ეთიკას ეყრდნობა; თვით ამ ბიზნესის ბიზნეს-ეთიკა შესაბამისი რელიგიური ასპექტებით არის ზღვარდებული და აქ მიღწეულ წარმატებებს უმნიშვნელოვანესი ღირებულება გააჩნია. არსებული სიტუაცია ნათლად წარმოაჩენს ბიზნესის რელიგიური პასუხისმგებლობას და რელიგიის უკუხემოქმედებას ბიზნესზე; ამ შემთხვევაში სახეზეა რელიგიურად გაჯერებული ბიზნესის ეთიკა. ამ დატვირთვის მქონე ბიზნესი თვით ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას სრულად წარმოაჩენს და ამ მიმართებით ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია. აღნიშნული მომენტის სრულად გათვალისწინება დასმული საკითხის — ბიზნესის ეთიკის რელიგიური ასპექტის საკითხის გაცნობიერების გზაზე ძალზე მნიშვნელოვანია. თვით საკითხის სრულად შეცნობა და ამ მიზნით პრაქტიკული და რეალური ნაბიჯების გადადგმა კი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესისათვის და აქ დასაქმებული ადამიანებისათვის. ზოგადად, წარმატებული ბიზნესი ხომ ბიზნესის კულტურის გამომხატველია და მისი რეალიზაციის ხარისხის ამსახველია; თვით ბიზნესის კულტურა კი ბიზნესის ეთიკას წარმოაჩენს. და თუ ბიზნესის ეთიკა მჭიდროდ დაეფუძვნება რელიგიას და იგი იხელმძღვანელებს ადექვატური რელიგიური ასპექტებით, წარმატება ბიზნესში მეტწილად გარანტირებულია.

THE IMPORTANCE OF ENTREPRENEURSHIP IN SMALL BUSINESSES

Zurab Grigorashvili

GTU Doctorante

Most people are familiar with the names of large businesses such as Marks & Spencer and Heinz. Although some may not realize many of today's famous large companies were initially very small. They were started by either one person or a small group of people. This case study demonstrates the vital role performed by small businesses and is sponsored by The Network For Teaching Entrepreneurship (NFTE).

NFTE is an international nonprofit organization introducing young people to the world of business and entrepreneurship. It teaches them how to develop and operate their own legitimate small business. This is done by involvement in a practical "hands-on" entrepreneurship, teaching curriculum supported with quality materials and resources for both teachers and students. NFTE has been particularly successful in motivating under-achieving young people to develop business skills through experiential learning many businesses start as one person's idea.

The creator is often an entrepreneur who spots a gap in the market or a commercial opportunity. S/he turns the idea into a marketable product or service. There are four main types of business: manufacturing, wholesale, retail and service. Some characteristics found in successful entrepreneurs, show they are:

- Prepared to take risks
- Driven by achievement
- Not put off by failure
- Self-motivated
- Determined to stay ahead of the competition.

For example, Simon Woodruff opened up his first Yon Sushi restaurant by copying an idea he saw in Japan. The business grew into a chain of successful restaurants with a novel approach to serving Japanese food and drink.

Henry John Heinz's first product in 1869 was horse-radish, followed by pickles, sauerkraut, and vinegar. All were delivered by horse-drawn wagons to grocers in and around Pittsburgh. Heinz developed many of the world's best known branded products e.g. tomato ketchup, baked beans, and baby foods. Today's small business sector creates many of the new ideas and innovations future generations will take for granted e.g. ingenious website designs, clockwork radios.

Small businesses are vital to the success of the economy. Not only as they provide the success stories of the future, but also because they meet local needs (e.g. hairdresser, financial consultant, and emergency plumber). They serve the requirements of larger businesses e.g. for photography services, printed stationery, catering and routine maintenance. Of course, you don't have to set up your own enterprise to be enterprising. Being entrepreneurial simply means developing the right skills, attitudes and initiatives to make an innovative contribution to an organization. This case study gives you some idea of what is involved and how exciting it can be.

Most UK businesses today are small. Two thirds are owned and run by one person. Nearly 90% employ less than 6 people. They are also an important source of employment. Just over 2.5 million UK workers are self-employed; one in eight of all workers. It is from these small companies that tomorrow's big names will probably arise.

Small businesses survive and prosper for many different reasons:

- Developing personal relationships - small businesses are well placed to build personal relationships with customers, employees, and suppliers. With a small business you know who you are dealing with; you can 'put a face' to the person you are in contact with. Person-to-person interaction is as important as ever in building strong relationships.
- Responding flexibly to problems and challenges - in a small business there is little hierarchy or chain of command. Large businesses may have set ways of operating and establish procedures that are hard to change. Small businesses are often far more flexible. It can also reach a quick decision on whether or not it can do what is required.
- Inventiveness and innovation - small businesses are well positioned to introduce and develop new ideas. This is due to their owners not

having to report or seek approval from anyone else. For example, when Anita Roddick set up The Body Shop, she developed a range of environmentally friendly cosmetics in unsophisticated packaging. This would have been frowned on in a conventional cosmetics company.

- Low overheads - due to the small scale of operation, small businesses have lower overhead costs. They operate in small premises with low heating and lighting costs, and limited rent and rates to pay. Low costs result in lower prices for consumers.

- Catering for limited or niche markets -large firms with high overheads must produce high levels of output to spread costs. By contrast, small firms are able to make a profit on much lower sales figures. They can therefore sell into much smaller markets: e.g. a local window cleaner serving a few hundred houses, a specialist jeweler maker with personal clients.

- The main reason many people choose to set up a small business, is because it gives them independence. They also reap the rewards for themselves; these are two powerful incentives.

Small businesses do have some disadvantages. Running an enterprise on your own involves hard work and making most decisions on your own. Initially there is little time for holidays and considerable risks involved. Also, as the business is small, it is harder to find the economies of scale from which big firms are able to benefit. For example, because small businesses tend to buy relatively small quantities of raw materials and other supplies, they receive lower discounts than larger firms. The small firm cannot afford to employ a range of specialists and also find it more costly to raise finance.

Setting up and running a business is something to be tackled by people who are energetic and enthusiastic. These people like hard work, enjoy challenges, are adaptable and are not put off by failure. Perhaps you are like that! Starting up on your own is a big step. It is vital to carry out careful research and think things through thoroughly, rather than rushing into it.

Planning is one of the most important steps at the start. Not only is the plan useful to the person setting up the business; it is also very important

to anyone wanting to invest in it, or lend the business money. It needs to be based on detailed research e.g. market research. Market research is the process of systematically gathering and recording information about the market for a product or service. This can be carried out by using questionnaires, or bringing together people in small groups to discuss their views on the goods or services being offered. Alternatively, market research can draw on information already published e.g. surveys. One purpose of market research is to identify and provide evidence of market opportunities and challenges. It helps someone starting a new business to get to know the environment they will be trading and competing in.

Other key ingredients of the business plan include:

- Details of the business idea
- Where the business will be run from the expected sales
- Costs of running the business

One of the first decisions to be made in starting a business is how the business will be owned. The main choices are between settings up:

- On your own (as a sole trader)
- With a small number of partners (partnership)
- As a private company, with shareholders (limited company).

The advantage of sole ownership is that you make all the decisions and take all the profits. However, the sole trader has a lot of responsibility and will need to work extremely hard. Forming a partnership makes it possible to share the workload, but profits have to be shared and there may be disagreements between partners.

Forming a private company makes it possible to raise extra capital for the business by selling shares, but setting up a company requires time and paperwork. Also, shareholders take a share of the profits. When Michael Marks started trading he was a sole trader. Later he took on a partner, Tom Spencer. When the business expanded nationally, it became a public company, with its shares traded on the Stock Exchange.

New businesses need money to:

- Get started: e.g. buy fixtures and fittings, machinery and equipment, often referred to as ‘initial one-off costs’

- Pay the costs of operating the business e.g. wages, rent, rates, heating and lighting.

Startup finance includes:

- The owner's (or owners') own funds (including share capital in the case of a private company)

- Bank loans, or loans from individuals

- A bank overdraft

- A mortgage to buy property

- Trade credit, where suppliers offer a set period (usually between one and three months) to pay for supplies

- Hire purchase and leasing agreements, under which firms rent items such as photocopiers and vehicles.

- Sources of finance need to be matched to the time period of the finance e.g. mortgages can be for up to 25 years whereas overdrafts and trade credit are for much shorter periods. Entrepreneurs must always make sure that they have enough cash coming into the business to pay back money they have borrowed both in the short and long term.

An effective marketing plan usually covers 4 key elements known as the 4 Ps:

- Price

- Product

- Place and

- Promotion

Making a profit is always important in running a business. Without profits, a business is not able to expand, and cannot take on more employees, or make contributions to the community. Eventually it will cease to exist. Michael Marks made a profit from selling small items at a penny each, therefore he was able to expand. He would have worked out what is called gross profit by deducting the overall cost of all of the stock he bought from the income he generated from sales. So his gross profit was:

$$\text{Gross Profit} = \text{Sales} - \text{Cost of Sales}$$

However, the gross profit is not the final profit. It is simply the profit from trading before all the operating costs of running the business have been taken away. To get a figure for net profit we must deduct these oper-

ating costs from gross profit. Examples of operating costs would include the cost of lighting, heating, salaries, and advertising, rents and business rates.

New businesses have to be promoted. Promotion is a cost to the business, but without promotion most people will not know of its existence. The best form of promotion is recommendation from a satisfied customer. Other forms include local newspaper and cinema advertising, flyers through people's doors and signs in a shop window. To promote your business effectively you need to be continually aware of your customers' needs, your market place and your competitors' activities. These factors are all important in maintaining, developing and expanding your business.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Peter Drucker Innovations and Entrepreneurship 2002
2. Thomas Sowell Basic Economics 2000
3. M.Clayton The innovator's Solution 2003

რეზიუმე

ზურაბ გრიგორაშვილი

“მეწარმეობის მნიშვნელობა მცირე ბიზნესში”

თანამედროვე სამყაროში ადამიანებს აღარ შეუძლიათ ელოდონ დიდ ცვლილებებს მრეწველობაში, რათა მათთვის გარანტირებული იყოს სამუშაო ადგილები სიცოცხლის ბოლომდე. ამიტომაც ხალხი თვითონ ცდილობს შექნან და იპოვონ სამუშაო ადგილები, დაიწყონ მცირე ბიზნესი. ახალგაზრდა მეწარმეებს მართებთ უფრო კონცენტრირებულნი და სერიოზულად დაინტერესებულნი იყვნენ სამეწარმეო საქმიანობით, რაც მათ ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის წარმატებით განხორციელებაში. სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობა, მათი სპეციფიკა სხვადასხვა მცირე საწარმოებში.

მორალური მოქმედების გლობალური პრობლემის გადაჭრის გზები ფარმაცევტულ ბიზნესში

რევაზ შენგელია

ედ, სტუ სრული პროფესორი, ჟურნალ
“ეკონომიკის” მთ. რედაქტორი

ჟუჟუნა ნიკლაური

ედ, სტუ სრული პროფესორი

ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ეკონომიკაში, სტუ პროფესორი

ფარმაცევტული ბიზნესის არსისა და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლისას გვერდს ვერ აუვლით გლობალიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების პირობებში მორალური მოძველების პრობლემას. ისე როგორც ბიზნესის სხვა სფეროში, ფარმაცევტულ დარგშიც ადგილი აქვს ტექნიკისა და ტექნოლოგიის მორალურ მოძველებას. მორალური მოძველების მიზეზია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომლის დროსაც ახალი, უფრო მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური და რაც ფარმაცევტულ ბიზნესში ყველაზე მთავარია, სოციალური პარამეტრების მქონე ტექნიკა, ტექნოლოგია იქმნება, რომლებთან შედარებით ძველი, თუნდაც სრულიად უხმარი მონეობილობა მოძველებულად ითვლება.

მორალური მოძველების პირველი ფორმა დაკავშირებულია ფარმაცევტული წარმოებისათვის საჭირო ტექნიკა, მონეობილობის მწარმოებელ კომპანიებში ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან, რის შედეგადაც ასეთი მონეობილობის ელემენტები იაფდება. ამ პირობებში ფარმაცევტულ ბიზნესში ფუნქციონირებადი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ექსპლუატაცია ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი ხდება, რადგან უფრო იაფი ტექნიკის, ხელსაწყოების გამოყენებით კონკურენტი ფირმები შეძლებენ გააიაფონ თავიანთი ფარმაცევტული ნაწარმი, რაც

მოცემული ფირმის კონკურენტუნარიანობას დაბლა დასცემს.

ფარმაცევტულ ბიზნესში მორალური მოძველების მეორე ფორმის შემთხვევაში ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ხელსაწყოების მწარმოებელი კომპანიები უფრო მაღალ წარმადობის ტექნიკასა და ტექნოლოგიას ქმნიან. ამ პირობებში მოძველებული კონსტრუქციის მანქანა-მონყობილობის ტექნიკური პარამეტრები (არაფერს ვამბობთ სოციალურ პარამეტრებზე) ახალ ანალოგებს ჩამორჩება და მათთან შედარებით უკვე მოძველებულნი არიან, თუმცა გამოსაყენებლად შეიძლება ჯერ კიდევ ვარგისნი იყვნენ.¹

გლობალური კონკურენტურობის ბუნებრივი გარემო, მკაცრი კონკურენტურობის ფარმაცევტულ კომპანიებს, ამ სფეროს საწარმოო ბიზნესს აიძულებს მორალურად მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგია სრულ ფიზიკურ მოძველებამდე (გაცვეთამდე) შეიცვალოს, რაც ეკონომიკურად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, როდესაც დარჩენილ საექსპლუატაციო პერიოდში ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის გამოყენებით მისაღები დამატებითი ეკონომიკური ეფექტი მოძველებული მანქანა-მონყობილობის ნარჩენ ღირებულებასა და მისი ექსპლუატაციის ხარჯებს აღემატება. საქართველოში ასეთი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ საგრძნობი წინსვლა არ შეიმჩნევა, მაგრამ მაინც არის გარკვეული ძვრები, მაგალითად, 1999 წელს დაარსებული პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო ფარმაცევტულ სტანდარტზე, ამიერკავკასიაში ერთადერთი საწარმოა, რომელიც მუშაობს უახლესი მოდელისა და მიღწევების აპარატურით”.²

თანამედროვე მეცნიერული ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპით დაჩქარების პირობებში მორალურად ძველდება არა

1 ხშირად უცხოელი ინვესტორებს, სამწუხაროდ შემოაქვთ ასეთი ტექნიკა და მონყობილობა რეციპიენტ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, რომელიც უკვე დონორ ქვეყნებში მოძველებულად ითვლება, რაც არცერთმა ქვეყანამ არ უნდა დაუშვას.

2 www.geoeconomics.ge.gv.1

მარტო ფარმაცევტული წარმოებისათვის საჭირო ტექნიკა და ტექნოლოგია, არამედ ფარმაცევტული პროდუქციაც. ხშირად იქმნება უფრო ახალი მედიკამენტები, რომელიც უფრო ეფექტურია და მოკლე დროში იწვევს ადამიანის განკურნებას, ვიდრე ძველი მედიკამენტები და სამკურნალო საშუალებები. ასეთ შემთხვევაში, უნდა იქნას ამოღებული მოძველებული მედიკამენტები ვადის გასვლამდეც კი. ყოველივე ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა დროულად, სწორი მარკეტინგის დახმარებით აღნიშნული ნაშთების რეალიზაცია. სხვანაირად გააფთრებული კონკურენციის პირობებში ფარმაცევტული ბიზნესი, მომგებიანად ვერ იფუნქციონირებს.

ისე, როგორც საწარმოო ბიზნესის სხვა სფეროში, ფარმაცევტულ დარგშიც მომუშავე საწარმოთა უმრავლესობაში ჯერ კიდევ დაბალია ყურადღება შრომის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. პრობლემის ეს ასპექტი ფარმაცევტულ ბიზნესთან მიმართებაში იმდენად არის აქტუალური, რომ მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნა ცუდი შრომის პირობებში თითქმის შეუძლებელია. პროდუქციის ხარისხი კი ფარმაცევტული საწარმის დამზადებისას ყველაზე მთავარია,¹ რადგან მასზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა. ამიტომ, უახლოეს დროში თუ არა, მომავალში მაინც, ერთ დროს რეალური მდგომარეობა იძულებულს გახდის ბიზნესმენებს, მათ შორის ქართველ ბიზნესმენებსაც, შრომის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად ღონისძიებები დროულად გაატარონ. ეს უშუალოდ გამომდინარეობს წარმოების ჰუმანიზაციის, საერთოდ სოციალური ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნებიდან. ეკონომიკური ეფექტი საბოლოო ჯამში, აუცილებლად უნდა გადადიოდეს სოციალურში

1 ისეთმა ბაზრებმა, როგორცაა აშშ და ევროგაერთიანება, გამორიცხულია თავის ბაზარზე შეუშვას ისეთი ხარისხის ნაშთები, რომელზედაც ოდნავ მაინც არსებობს ეჭვი. ასეთია გზა და რეალობა ნამალთან დაკავშირებით ცივილურ ბაზარზე. რაც შეეხება ქართული წარმოების ნამალს, იგი ჯერჯერობით ვერ მოხვედება მსოფლიო ბაზარზე. ჩვენთან არ მზადდება ორიგინალური ნაშთები, მზადდება მხოლოდ გენერიკული ნაშთები. ახლა იწყება მათი კვლევა ბიოექვივალენტობაზე, თუ ეს კვლევები ჩატარდება კორექტულად, სათანადო სტანდარტების დაცვით, მაშინ ქართულ გენერიკულ ნაშთებსაც გაეხსნება გზა დიდ ბაზარზე.

და თუ ეს არ ხდება, ეფექტიანობას არა აქვს ადგილი. საერთოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე ვერ ვიმსჯელებთ, თუ ეკონომიკური ეფექტიანობა საბოლოო ჯამში სოციალურ ეფექტიანობაში არ გადაიზარდა.

ამრიგად, ფარმაცევტული ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება, განსხვავებით სანარმოო ბიზნესის სხვა სფეროსაგან იმაში მდგომარეობს, რომ ამ დარგში ტექნიკა, ტექნოლოგია თუნდაც ნაკლებმწარმოებლურიც (მორალური მოძველების მეორე ფორმის უარყოფა) ან უფრო ძვირიც (მორალური მოძველების პირველი ფორმის უარყოფა) იყოს, მაგრამ ხელს უწყობდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭირო შესაბამისი ხარისხის ნაწარმის დამზადებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობებისაგან (სიმსივნე, შიდსი, დიაბეტი და ა.შ.) განკურნებას და სხვ., მაინც უნდა დაინერგოს.¹ ფარმაცევტულ ბიზნესში სანარმოთა შეფასების კრიტერიუმებად მარტო მოგება არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან საქმე ეხება ადამიანს და მის ჯანმრთელობას. სწორედ ამიტომ აქვს ადგილი მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოგების სოციალიზაციას. სხვანაირად, ცივილიზებული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა როგორც ზემოთ არაერთგზის ავლნიშნეთ, შეუძლებელია.

იბადება კითხვა: როგორია მორალურად მოძველებული, განსაკუთრებით სოციალურად უვარგისი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განახლების პერსპექტივა საქართველოს ფარმაცევტული დარგის კომპანიებში, როდესაც ქვეყანა ზოგიერთი სახის პროდუქციაზე დეფიციტს განიცდის, ნამღების სიძვირის გამო

1 ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ტელეგადაცემაში „ბიზნეს-კურიერი“ „ავერსის“ დამფუძნებლის ბ-ნი პაატა კურტანიძის გამოსვლა (მარტი, 2010წ.), რომელმაც აღნიშნა, რომ ავერსის კლინიკა, სადაც ქველმოქმედების სახით უამრავი ოპერაციები ტარდება უფასოდ (მაგ. თვალის ოპერაცია და ა.შ.), მიზერულ, უმნიშვნელო მოგებას იძლევა, მაგრამ ამ კლინიკაში დაინერგა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ძალიან ძვირადღირებული ტექნიკა. მისასაღმებელია ასეთი ღონისძიებები და კარგი იქნება მას სხვებიც მიბაძვდნენ.

ხშირად უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე ნაწარმიც კი იყიდება?

ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ მორალურად მოძველებული ტექნიკის განახლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა უფრო მეტ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს იძენს. გლობალური კონკურენციის შედეგად ტექნიკური პროგრესი და შესაბამისად, მისი შედეგი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მორალური მოძველება გზას იკაფავს. იხურება ის სანარმოები, რომლებიც ჩამორჩებიან მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის მხრივ, რაზედაც დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების არა ერთი გამოცდილება მეტყველებს. რაც შეეხება მორალურად მოძველებული, სოციალურად უვარგისი ტექნიკის განახლებისა და შესაბამისად, საზოგადოებრივად ნორმალური შრომის პირობების დონის მიღწევას, იგი საქართველოშიც უწინარეს ყოვლისა, ფარმაცევტული კომპანიების ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება. ამ მიზნის საქართველოში პრაქტიკულად განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ესა თუ ის ფარმაცევტული კომპანია ფეხს მოიკიდებს და სათანადო სახსრებს შეაგროვებს გაფართოებული კვლევანარმოებისათვის. ამასთან ყოველივე ეს რეალურად განხორციელებადა, როცა საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესი დაექვემდებარება თავისუფალ კონკურენციას და ადგილი არ ექნება ოლიგოპოლიურ ბაზარს.

**კორპორაციული სტრატეგიული მართვის
ანალიტიკური შეფასება, სს „RMG Copper“-ის
და შპს „RMG Gold“-ის მაგალითზე**

ნანა მაისურაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

თანამედროვე გამოკვლევების და სხვადასხვა ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მკვლევარების [1; 4; 7; 8; 9] უმრავლესობა, არ განიხილავს კორპორაციის სტრუქტურას, როგორც მუდმივ სისტემას, და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რამეთუ მეცნიერულ პროგრესთან ერთად იცვლება ეკონომიკური გარემო და, შესაბამისად, კორპორაციაზე მოქმედი ცვლადებიც, ამდენად, კორპორაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოითხოვს ცვლადების ანალიტიკურ შეფასებას, რომელიც სტრატეგიული მართვის ძირითადი ღერძია. ამ მიმართულებით საინტერესოა როგორც უცხოელი (ლ. გრეინერი ი. ბლანკი, ა. ტომპსონი, ს. ვინსიუსი, დ. ბეილტი), ასევე ქართველ ეკონომისტების (ზ. ლიპარტია [3], გ. პაპავა [5], მ. მანია [2], ვ. კაკაბაძე [1], ნ. ხარებავა, გ. ცაავა და ა. შ.) გამოკვლევები. მათი გამოკვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა ექვსი მთავარი სისტემური ანალიზის ეტაპი, სახელდობრ: პირველი ეტაპზე, ობიექტი განიხილება როგორც ერთიან საკომუნიკაციო, რესურსების, წარმოების პროცესის, მზა პროდუქციის და გასაღების ობიექტის ერთიანი სისტემა; მეორე ეტაპზე ვანხორციელებთ სინთეზურ და ანალიზურ მაჩვენებელთა სისტემის შეფასებას. აქ მთავარია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოვლენა; მესამე ეტაპზე, დგინდება სისტემური ანალიზის ჩატარების სისტემის ზოგადი სქემა, მთავარი კომპონენტის ფუნქციებისა და ურთიერთკავშირის განსაზღვრით; მეოთხე ეტაპზე დგება საწარმოს საფინანსო ინფორმაციების მოდელის საფუძველზე კომპლექსური ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საერთო ბლოკ-სქემა, რომელშიც მოცემუ-

ლი უნდა იყოს კორპორაციის საწარმოო საქმიანობის და საფინანსო ინფორმაციის ანალიზი; მეხუთე ეტაპზე იგება სისტემის მოდელი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება წინა ეტაპებზე. მოდელში აისახება კონკრეტული მონაცემები საწარმოს ცალკეული ერთეულების შესახებ და მიიღება მოდელის პარამეტრები რიცხობრივ გამოსახულებაში, ხოლო, მეექვსე ეტაპზე მიმდინარეობს სამეწარმეო შედეგების შეფასება, რეზერვების კომპლექსური გამოვლენა წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ჩვენი მოსაზრებით, კომპლექსურ ანალიზში მთავარია სისტემურობა და სწორი ფინანსების მართვის ანალიტიკური შეფასება, რამეთუ ფინანსური დოკუმენტები პირველნი იუწყებიან კორპორაციის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელ სიმწელებზე და რისკზე [6].

როგორც ცნობილია, კორპორაცია რთული ორგანიზმია და შედგება პარტნიორული ჯგუფებისგან. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ კუთხითაც უნდა მოხდეს კორპორაციის მართვის ანალიტიკური შეფასება.

შესაბამისად, ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ განხორციელდა საქართველოს სამთო-მომპოვებელი დარგის კომპანიების სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის პარტნიორი ორგანიზაციების შესწავლა მათი, სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის, დაინტერესების და მოთხოვნის შესაბამისად და შედგა მათი ჩართულობის მიხედვით დაინტერესების სქემა (იხ. ცხ. №1).

ამასაღმე, ჩვენ გამოვყავით, კორპორაციული სტრატეგიული მართვის ანალიტიკური შეფასების ორი მიმართულება: საერთო სისტემური ანალიზი, რომელიც შედგება ექვსი ეტაპისაგან და პარტნიორული ჯგუფებთან ურთიერთობის ანალიტიკური შეფასება. ამასთან მიგვაჩნია, რომ კორპორაციის კონკურენტუნარიანობის გამოსავლენად განხილულ უნდა იქნას საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლი; ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები და მოხდეს მათი ანალიტიკური შეფასება.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ქონებრივი მდგო-

კორპორაციის ძირითადი პარტნიორი ჯგუფების
ანალიტიკური შეფასების სქემა

ცხრილი № 1

პარტნიორი ჯგუფი	პარტნიორი ჯგუფის შენატანი	მოთხოვნები	ფინანსური ანალიზი
აქციონერები	საკუთარი კაპიტალი	დივიდენდები	ფინ. მდგომარეობა
ინვესტორები,	ნასესხები	პროცენტები	გადახდისუნარიანობა
მსესხებლები, ბანკი	კაპიტალი		კრედიტუნარიანობა
მმართველები	ცოდნის კაპიტალი	შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური შემოსავალი	საწარმოს მოღვაწეობის ყველა მხარე
კორპორაციის თანამშრომლები	საწარმოო ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება	ხელფასი, პრემიები, სოციალური პირობები	საწარმოს ფინანსური მდგომარეობა
პარტნიორი მომწოდებლები	წარმოების უწყვეტობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა	სახელშეკრულებო ფასი	გადახდის უნარიანობა
მუშტარი (უშუალო მყიდველი)	რეალიზაცია	სახელშეკრულებო ან საბაზრო ფასი	საწარმოს ფინანსური შედეგები
საგადასახადო ორგანოები	საზოგადოების მომსახურება	გადასახადების დროული გადახდა	საწარმოს ფინანსური შედეგები
აუდიტი	ინტერესების დაცვა	გადასახადების დროული გადახდა	საწარმოს ფინანსური მდგომარეობა

მარეობის მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე დადგინდა (2009-2012 წლები), რომ სს „RMG Copper“-ის ქონება საერთო მაჩვენებლით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ზრდის ტემპი დაბალია. რაც შეეხება, შპს „RMG Gold“-ს დაფიქსირდა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესამჩნევი ზრდა. მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, ამ და სხვა სტატისტიკური მონაცემების (რეალიზებული პროდუქცია, დაუმთავრებელი ნაგებობები, ამორტიზებული საწარმოო ტექნიკა) ანალიზი ქმნის არაადეკვატურ სურათს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ აუცილებელია კორპორაციული მართვის სისტემის გადახედვა და ამ აუცილებლობის საფუძველს ისიც ქმნის, რომ სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის წლიური შემოსავლის პირობებიდან გამომდინარე ქო-

ნებრივი მდგომარეობის რყევები აუხსნელია.

გამოკვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სს „RMG Copper“-ის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის მდგრადობა ასე თუ ისე სასურველი ტენდენციის მატარებელია. მდგრადობა ახასიათებს შპს „RMG Gold“-ის ძირითადი საშუალებების კატეგორიას თუ არ ჩავთვლით 2012 წლის მეორე კვარტლის პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდში მოხდა ამორტიზებული მანქანა-დანადგარების რეალიზაცია და 2012 წლის ბოლოს ახლის შექმნა, ამასთან, შპს „RMG Gold“-ში ძირითადი საშუალებების საერთო ოდენობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა მანქანა-დანადგარები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ანუ ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე აღვნიშნავთ, რომ საწარმოს ქონებრივ მდგომარეობაში არსებული ხარისხობრივი ცვლილებების და მათი პროგრესიულობის ხარისხის კრიტერიუმებად ითვლება ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის მაჩვენებლები, ძირითადი საშუალებების ვარგისიანობა და ცვეთის კოეფიციენტები, რომლებიც პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთან ერთად ქმნიან კორპორაციის კონკურენტუნარიანობის ოპტიმიზაციის საფუძველს [9].

შპს „RMG Gold“-ის ფაქტობრივი მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ძირითადი საშუალებების შექმნას და ამავე დროს ეს პროცესი ზრდის ტენდენციით მიმდინარეობდა, განახლების კოეფიციენტი საბაზისო წელთან შედარებით, 2010 წელს მხოლოდ 0.25-ით გაიზარდა, ხოლო 2005 წელთან შედარებით 2012 წელს დაფიქსირდა კლება - 0.05-ით. რაც შეეხება სს „RMG Copper“-ს შესაბამისად გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: 2010 წ. - 0.21, კლება - 0.12.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას ასევე ხსნის მათი საწარმოების ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი.

გამოკვლევებისა და სხვადასხვა თეორიული მასალის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ლიკვიდურობის ხარისხის მი-

ხედვით შესაძლებელია საწარმოს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც წარმოვადგინეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხ. №2).

საწარმოს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
ცხრილი №2

ლიკვიდურობის ხარისხის მაჩვენებლები	საწარმოს ფულადი საშუალებები
აქტივები:	
A1 - მაღალლიკვიდური აქტივები	სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);
A2 - სწრაფად რეალიზებადი აქტივები	დებიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება;
A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები	მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს;
A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები - ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები (ლიცენზია, პატენტი) დაუმთავრებელი მშენებლობა (ცენტრალური საოფისე ნაგებობა).
ვალდებულებები:	
L1 - სასწრაფო ვალდებულებები	კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დადგა და მასზე მოთხოვნაა;
L2 - მოკლევადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი სესხები და სხვა ვალდებულებები;
L3 - გრძელვადიანი ვალდებულებები	ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯაროდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანადღებელი ობლიგაციები;
L4 - მუდმივი პასივები	საკუთარი კაპიტალი; რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ზემოთ მოცემული ლიკვიდობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების საფუძველზე კი, განვსაზღვრეთ სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ლიკვიდურობის მაჩვენებლები, რომელიც მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილები 3 და 4).

სს „RMG Copper“-ის ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ცხრილი №3

თანაფარდობა	2009	2010	2011
$A_1 \geq L_1$	19,946,485 < 46,858,591	17,179,918 > 14,516,672	19,662,733 > 11,922,699
$A_2 \geq L_2$	21,974,481 < 46,957,591	21,989,918 > 18,716,876	23,642,835 > 17,962,899
$A_3 \geq L_3$	21,985,484 > 16,759,000	20,199,918 < 20,258,000	22,982,931 > 20,448,030
$A_4 \leq L_4$	11,955,482 < 45,062,295	10,149,118 < 65,569,986	12,362,433 < 84,103,091

შპს „RMG Gold“-ის ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ცხრილი № 4

თანაფარდობა	2009	2010	2011
$A_1 \geq L_1$	1,914,620 < 13,158,372	19,243,902 > 12,645,870	7,856,699 > 5,727,266
$A_2 \geq L_2$	21,974,481 < 74,184,901	21,989,918 > 12,647,880	72,896,051 > 16,229,105
$A_3 \geq L_3$	36,095,704 < 61,403,462	60,162,916 > 7,893,819	71,897,092 > 1,941,339
$A_4 \leq L_4$	21,043,800 < 74,675,335	35,363,959 < 74,533,992	49,597,070 < 74,600,992

მოცემული ანალიტიკური შეფასებიდან აშკარაა, რომ საწარმოებს სს „RMG Copper“-ს და შპს „RMG Gold“-ს გააჩნია ლიკვიდური ბალანსი.

კორპორაციის საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლის ანალიზი ხსნის ფინანსური რესურსების მდგომარეობის, გამოყენების და განაწილების სურათს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს მოგების და პოტენციალის ერთგვარ ინდიკატორს.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ფინანსური საქმიანობის ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ამ საწარმოების ფინანსური სტაბილურობა მოქცეულია ორი ტიპის არეალის ფარგლებში, სახელდობრ: ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის და არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის ფარგლებში ,ანუ ამ საწარმოების შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მდგრადობის ორი დონე.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებით და ნასესხები წყაროებით. ხოლო არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის ნორმალური წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხების ხარჯზე.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორპორაციული სტრატეგიული მართვის პრიორიტეტების ჩამოყალიბების პირობებში კონკურენტუნარიანობის ოპტიმიზაციის საფუძვლების შემუშავება ორგანიზაციულ ცვლილებათა ანალიტიკური მართვის მოდელების მწვავე კონკურენციის პირობებში სისტემური ანალიზის გარეშე შეუძლებელია კორპორაციის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთო სისტემურ ანალიზს, პარტნიორულ ჯგუფებთან ურთიერთობის ანალიტიკურ შეფასებას, საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლს, ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებს, ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს და სწორედ ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კორპორაციები სს „RMG Copper“-ი და შპს „RMG Gold“-ი წარმოადგენენ მაღალლიკვიდურ საწარმოებს.

ლიტერატურა

1. კაკაბაძე ვ. ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). გამ.: „მერიდიანი“, თბ., 2011 წ.
2. ლაზრიევა ნ., მანია მ., მირზაშვილი გ., ტორონჯაძე თ., დლონტი ო., ჯამბურია დ. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, ფინანსური და სადაზღვეო მათემატიკა, ფინანსური ინჟინერია. გამ.: „ფონდი ევრაზია“, თბ., 1999 წ.
3. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი. ნაწილი 1, ეკონომიკური ანალიზის თეორია. გამ.: „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, თბ., 2003 წ.

4. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ.: „უნივერსალი“ თბ., 2013 წ.

5. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტომი 2. გამ.: „სამშობლო“, თბ., 1998 წ.

6. ძიმცეიშვილი ნ., ნაჭყეპია მ., დათუაშვილი ს., ბაქრაძე გ. მმართველობითი აღრიცხვა. გამ.: თბ., „UBG“ 2009 წ.

7. Бачуров Вл. «Генри Форд, Лучший бизнесмен 20-го Века. 2010, <http://www.mukhin.ru/ford.html>

8. Вачугова Д. Д. Основы менеджмента. 2-е изд., перераб. и доп. изд.: [Он-лайн-книга], “Высшаяшкола”, 2005. <http:// vse-uchebniki. com/ menedjmenta-osnovyi/ osnovyimenedjmenta - vachugova.html>, ст., 76.

9. Maisuradze N., Dekanosidze S. Key Indicators of Tourism Organizational Management. Conference - Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage, 28-29 June, 2013. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics.

RESUME

Nana Maisuradze

The Analytical Evaluation of Corporate Strategic Management, on the example of JSC “RMG Copper” and LTD “ RMG Gold

The present scientific article refers to such main management strategic indexes of RMG Copper JSC and RMG Gold Ltd as general system analysis of the enterprises, analytical assessment system of relations with partner groups, property status index of the enterprises, liquidity and insolvency indexes, financial stability indexes, explaining the picture of status, utilization and distribution of resources of the abovementioned corporations and potential of their competitiveness.

The article also substantiates that optimization of corporation structure requires analytical assessment of variables, which, for its part, is a main axis of strategic management.

At the end, the article introduces a scheme of analytical assessment of main partner groups of the corporation and a table of criteria defining liquidity of the enterprise worked out by the author.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ნინო გრიგალაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოშობა დაკავშირებულია სასესხო კაპიტალის ფორმირებასთან ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ამოცანაა დანაზოგების რაც შეიძლება სრულად და სწრაფად განთავსება ინვესტიციებში ისეთ ფასებში, რომლებიც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია ბაზრის შუამავლების ბროკერების და საინვესტიციო დილერების გარეშე. მხოლოდ მათ გაეგებათ თუ რა მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რა სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვებაა მიზანშეწონილი და როდის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ისევე როგორც სხვა ბაზარი, წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობას გამოხატულს ყიდვა-გაყიდვის კუთხით, სადაც ერთმანეთს ხვდება მიწოდება და მოთხოვნა და განისაზღვრება ფასი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ჩავთვალოთ ფულად ბაზრად, რომელზეც მიმოიქცევა მოკლევადიანი სავალო ვალდებულებები, ძირითადად სახაზინო თამასუქების სახით. ფულადი ბაზარი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხაზინას ნაღდი ფულით, ხოლო კორპორაციებს და ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციით.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სხვა ბაზრების მსგავსად, წარმოადგენს რთულ ორგანიზაციულ ეკონომიკურ სისტემას ტექნოლოგიური ციკლების ერთიანობის და სისრულის მაღალი დონით.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: **საერთო-საბაზრო** ფუნქციები, რომელიც დამახასიათებ-

ელია ჩვეულებრივი ბაზრებისთვის და სპეციფიკური, რომლითაც იგი განხვავდება სხვა ბაზრებისაგან.

საერთო-საბაზრო ფუნქციებს განეკუთვნება ისეთი ფუნქციები, როგორცაა:

კომერციული ფუნქცია; ფასწარმომქმნელი ფუნქცია; ინფორმაციული ფუნქცია; მარეგულირებელი ფუნქცია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის სპეციფიკურ ფუნქციას განეკუთვნება:

გადამანაწილებელი ფუნქცია; დაზღვევის ფუნქცია.

გადამანაწილებელ ფუნქციას განეკუთვნება: ფულადი სახსრების გადანაწილება საბაზრო სისტემის დარგებსა და სფეროებს შორის.

დაზღვევის ფუნქცია გულისხმობს ფინანსური რისკების დაზღვევას ანუ მათი გადანაწილებას ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოყენების მეშვეობით.

ვაჭრობის ხერხების მიხედვით განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგ სახეებს:

პირველადი და მეორადი; ორგანიზებული და არაორგანიზებული; საბირჟო და არასაბირჟო; ტრადიციული და კომპიუტერიზებული; საკასო და ვადიანი.

ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ხდება სახელმწიფო და მუნიციპალური ობლიგაციის ემისია, რომელსაც უშვებენ ფინანსური კომპანიები.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი წარმოადგენს ამიტორებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ ყიდვა-გაყიდვას.

ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი - ისეთი ბაზარია, სადაც ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა ხდება მკაცრად დადგენილი წესების მიხედვით.

არაორგანიზებული ქაღალდების ბაზარი - არის ისეთი ბაზარი, სადაც ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა ხდება ერთიანი წესების დაცვის გარეშე ბაზრის ყველა მონაწილის მიერ.

საბირჟო ბაზარი - არის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟებზე.

არასაბირჟო ბაზარი - არის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟის გვერდით ავლით.

ფასიანი ქაღალდების საკასო ბაზარი - ეს არის ბაზარი, სადაც გარიგებების შესრულება ხდება დაუყონებლივ 1-3 სამუშაო დღის განმავლობაში.

ფასიანი ქაღალდის ვადიანი ბაზარი - არის განვადებიანი ბაზარი, რომელიც გულისხმობს გარიგებათა შესრულების რამდენიმეთვიან გადავადებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები - არიან ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, რომლებიც ყიდვიან და ყიდულობენ, ან და ემსახურებიან მის მიმოქცევას და უზრუნველყოფენ სათანადო ანგარიშსწორებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზარში მონაწილეთა ძირითადი ჯგუფები შემდეგნაირად შეიძლება კლასიფიცირდეს:

- **ემიტენტები** - იურიდიული პირები ან ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები ან კიდევ თვითმართვლობის ორგანოები.
- **ინვესტორები** - ის ვინც ყიდულობს მიმოქცევაში გამოშვებულ ფასიან ქაღალდს.
- **საფონდო შუამავლები** - ორგანიზაციები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახორციელებენ ბროკერულ ან დილერულ საქმიანობას.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომსახურე ორგანიზაციები**
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისა და კონტროლის სახელმწიფო ორგანოები.**

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროფესიულ საქმიანობის სახეებს განეკუთვნება: ბროკერული საქმიანობა, დილერული საქმიანობა; კლირინგული საქმიანობა; დეპოზიტარული საქმიანობა.

ბროკერული საქმიანობად - მიიჩნევა საქმიანობა ფასიანი ქაღალდების პროფესიონალური მონაწილის მიერ ფასიანი ქაღალდების სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების შესრულება კლიენტის სახელით და ხარჯზე.

დილერული საქმიანობა - მიიჩნევა ფასიანი ქაღალდების ბაზ-

რის პროფესიონალური მონაწილის მიერ ფასიანი ქაღალდების, ყიდვა-გაყიდვის გარიგება თავისი სახელით თავისი სახსრებით.

კლირინგული საქმიანობა - არის ურთიერთვალდებულებათა განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმიანობა და ფასიანი ქაღალდების მიწოდებასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ჩათვლა.

დეპოზიტარული საქმიანობა - ნიშნავს პროფესიონალის მიერ ფასიანი ქაღალდის მონაწილის - დეპოზიტისათვის მომსახურების გაწევას ფასიანი ქაღალდის სერთიფიკატის შენახვაზე ან ფასიანი ქაღალდის საკუთრების გადაცემაზე.

საინვესტიციო პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი გზა ფასიანი ქაღალდები და მათი ყიდვა - გაყიდვაა.

ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დადგენილი ფორმით და სავალდებულო რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს განსაზღვრულ ქონებრივ უფლებას, რომლის ფლობა და გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენისას.

ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ფუნდამენტალური თვისებები: ბრუნვადობა; ხელმისაწვდომობა სამოქალაქო ბრუნვისათვის;

რეგულირებადობა და სახელმწიფოებრივი აღიარება; დოკუმენტურობა;

სასაქონლო (საბაზრო) თვისება; ლიკვიდურობა; სტანდარტულობა; რისკიანობა;

სერიულობა.

ბრუნვადობა - ნიშნავს ფასიანი ქაღალდის უნარს შეასრულოს საგადასახადო ინსტრუმენტის როლი, აგრეთვე ბაზარზე გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი.

ხელმისაწვდომობა სამოქალაქო ბრუნვისათვის-ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბრუნვადობის უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურის არსებობას ბირჟების ან საშუამავლო ინსტიტუციის სახით;

დოკუმენტურობა ფასიანი ქაღალდებისა - ნიშნავს, რომ იგი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის რეგულირებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო;

რეგულირებადობა და სახელმწიფოებრივი აღიარება - გულისხმობს ფასიანი ქაღალდების სახელმწიფოს მართვას და მისი საკანონმდებლო საფუძვლების სახელმწიფოს მიერ შემუშავებას;

სასაქონლო თვისება - გულისხმობს, რომ ფასიანი ქაღალდი ბაზარზე გამოდის როგორც სპეციფიკური საქონელი და წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს;

ლიკვიდურობა - არის ფასიანი ქაღალდის უნარი ბაზარზე მიმოქცევისას მისი ღირებულება დაიფაროს შესაბამისი ფულადი სახსრებით;

სტანდარტულობა - ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდს ჰქონდეს სტანდარტული შინაარსი და ფორმა, მასში ძირითადი მახასიათებლების აღნუსხვა და შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვით უზრუნველყოფა.

რისკიანობა ფასიანი ქაღალდისა - გულისხმობს მის ალბათურ ხასიათს ბაზარზე და მასთან დაკავშირებული ოპერაციების რისკის ხარისხს.

სერიულობა - ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას სერიულად, ერთგვაროვან ჯგუფებად.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- წარმოადგენენ სახელმწიფო ვალის ფორმირების ცივილიზებულ ხერხს;
- უზრუნველყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას;
- სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას ფასიანი ქაღალდები გამოდიან არა მხოლოდ ფულის მიმოქცევის რეგულატორად, არამედ ხელს უწყობენ მთლიანად ეკონომიკის განვითარებას.
- ახდენენ სახსრების მობილიზაციას მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად.

ფასიანი ქაღალდებს განეკუთვნება: აქცია, სახელმწიფო ობლიგაცია; თამასუქი; ჩეკი; დეპოზიტური სერტიფიკატი, საშემნახველო

სერტიფიკატი; კონოსამენტი; ვარიანტი.

აქცია - არის ფასიან იქალაქი (Securities), რომელიც ამტკიცებს მესაკუთრის წილს კომპანიაში. აქციონერს აქვს უფლება მიიღოს დივიდენდი (Dividend), ასევე მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მართვაში და მიიღოს კომპანიის ლიკვიდაციის შედეგად კომპანიის ქონების ნაწილი.

აქციის (stock) ყიდვით თქვენ ხდებით მესაკუთრე, კომპანიის თანამფლობელი. ეს ნიშნავს, რომ თქვენი შემოსავალი (profit) დამოკიდებული რამდენად წარმატებულად მუშაობს კომპანია. თუ კომპანია მომგებიანია, მაშინ აქციის ფასი (stock price) იზრდება და შესაძლებელია კომპანიამ აქციონერებს გასცეს მოგების ნაწილი დივიდენდის სახით.

აქციონერები მიდიან გარკვეულ რისკზე (risk), თუ კომპანია არ აღმოჩნდა მომგებიანი. აქციების ფასი შეიძლება დაეცეს და კომპანიამ არ გასცეს დივიდენდი. აქციის გამოშვება ხდება განუსაზღვრელი ვადით. აქციონერს შეუძლია გაყიდოს აქციები ბაზარზე.

აქციებით ვაჭრობენ საფონდო ბირჟაზე (Stock Exchange). აქცია (stock) წარმოადგენს ნებისმიერი ინვესტორისთვის ფინანსური კაპიტალის ინვესტირების საუკეთესო საშუალებას.

აქციებს გააჩნიათ შესანიშნავი თვისება-თუ კომპანია იზრდება და მომგებიანია, მისი აქციების ფასი (stock price) მნიშვნელოვნად იზრდება.

აქციებში ინვესტირება (Investing) წარმოადგენს ფინანსების (Finance) საკუთარი ინტერესებით მუშაობას დროის მცირე დანახარჯებით. სხვისი მომგებიანი ბიზნესი (Business) საკუთარი კაპიტალის მატების საშუალებაა. მეტი წილი ხალხისთვის არის შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა მომგებიან ბიზნესში და გაზარდოს კაპიტალი.

ობლიგაცია - არის ემისიური ფასიანი ქალაქი, რომელზედაც მიმაგრებულია მისი მფლობელის უფლება ემიტენტის დადგენილ დროში მიიღოს ნომინალური ღირებულება და მასზე დანამატი ფიქსირებული პროცენტის ან სხვა სახით. **არსებობს სახელმწიფო**

ობლიგაციები, სახაზინო ობლიგაციები, კორპორაციული ობლიგაციები და სხვა. მაგალითისთვის განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი.

სახელმწიფო ობლიგაციები - სახელმწიფო ობლიგაციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება სახელმწიფო ობლიგაციების აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით. აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს. მაგალითად:

საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის მარტში გააფორმეს შეთანხმება „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“. ამ შეთანხმების საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისისთვის არსებული 832.9 მლნ. ლარის დავალიანებიდან ნაწილი ყოველწლიურად გადაფორმდება “ობლიგაციებად”, რომელთა ვადიანობა არის 16-60 თვე. დავალიანება სრულად დაიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

სახაზინო ობლიგაცია - არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. ამჟამად, სახაზინო ობლიგაციების გამოშვება ხდება 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით, კუპონის 6 თვეში ერთხელ გადახდით. სახაზინო ფასიანი ქაღალდები ემსახურება ფინანსური ბაზრების განვითარებას. განვითარებული ფულადი ბაზრის პირობებში კი იზრდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალი და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა.

თამასუქი - მკაცრად განსაზღვრული ფორმით შედგენილი სავალო ვალდებულება, რომელიც იძლევა უფლებას მასში ნაჩვენები რაოდენობა დაფარულ იქნას ფულით დადგენილ ვადაში.

ჩეკი - არის ჩეკის გამცემის განკარგულება ბანკის მიმართ განხორციელოს მასში ნაჩვენები თანხის გაცემა ჩეკის მფლობელზე.

დეპოზიტური სერტიფიკატი - არის ფასიანი ქაღალდი ბანკი ემ-

იტენტი მოწმობის სახით ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ.

საშემნახველო სერტიფიკატი- არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ამოწმებს ბანკში შეტანილ თანხას და შემტანის უფლებას მიიღოს მასში ნაჩვენები დროის ამოწურვის შემდეგ შეტანილი თანხა.

კონოსამენტი - არის ტვირთის გადამზიდავის მიერ ტვირთის მფლობელისათვის გაცემული დოკუმენტი.

ვარანტი - არის მოწმობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მფლობელის უფლებით შეიძინოს ფასიანი ქაღალდები დადგენილ ფასში განსაზღვრული დროის განმავლობაში ან უვადოდ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკამ დიდი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო ფინანსები - იაშა (იაკობ) მესხია ;თბ-2012
2. <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=532>
3. <http://forum.ge/?showtopic=33725713>



ჟურნალის რედაქცია ამ რუბრიკით აგრძელებს სალექციო კურსის, მეთოდური საკითხების შესახებ სტატიების სისტემატურ გამოქვეყნებას თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ყველა დონის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების ფართო წრეს.

წარმოების ეფექტიანობა. წარმოების ხარჯები და მათი უმცირების ბზებში*

რევაზ შენგელია

ელ, სტუ სრული პროფესორი, ჟურნალ “ეკონომიკის” მთ. რედაქტორი

ქუჩუნა წიკლაური

ელ, სტუ სრული პროფესორი

ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ეკონომიკაში, სტუ პროფესორი

წარმოების ეფექტიანობა. ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: მომგებიანობა, საერთო და ფაქტორული ეფექტიანობა და სხვ. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

მოგება, როგორც ითქვამს, ეს არის სხვაობა ფირმის მთლიან შე-

*დასაწყისი ის: ჟურნალი „ეკონომიკა“, № -5-6, 2013 წ.

ეკონომისტი აუდიტორიაში

მოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის. **არსებობს მოგების მიღების ორი ძირითადი გზა:** ა) ფასების უცვლელობის პირობებში ხარჯების შემცირება (ეს გზა მიზანშეწონილია კონკურენციულ გარემოში. ამგვარ გარემოში ეკონომიკა ეფექტიანია, რადგანაც საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხარჯების შემცირებაში); ბ) ხარჯების უცვლელობის პირობებში ფასების ზრდა (ამ გზით მოგების მიღება გამართლებულია, როცა საწარმო მონოპოლიურ მდგომარეობაშია. ამ დროს ეკონომიკა არაეფექტიანია, ვინაიდან საწარმოები არ ცდილობენ ხარჯების შემცირებას). ნულოვანი მოგების ან მარალის შემთხვევაში, ფირმას არ გააჩნია განვითარების წყარო და შეიძლება გაკოტრდეს.

თუმცა, საწარმოს მხოლოდ მომგებიანობა არ იძლევა მისი ეფექტიანობის შესახებ სრულ წარმოდგენას. ვინაიდან, შეიძლება ერთი ფირმა მეორეზე მომგებიანი იყოს, მაგრამ ეს მოგება მან მიიღოს უფრო მეტი დანახარჯების ფასად, ვიდრე მეორემ (რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უპირატესობას უსვამს ხაზს).

მაგალითად, A საწარმოს მოგება შეადგენს 3 000 ლარს, ხოლო B საწარმოს – 5 000 ლარს. მაგრამ A საწარმომ ეს მოგება მიიღო 2 000 ლარის დანახარჯის შედეგად, ხოლო B საწარმომ – 4 500 ლარის დანახარჯით. აქედან გამომდინარე, A საწარმო უფრო ეფექტიანია ვიდრე B, ვინაიდან:

$$\frac{3000}{2000} > \frac{5000}{4500}$$

წარმოების ეფექტიანობის გაანგარიშებისას შედეგი უფარდდება მის მიღებაზე გაწეულ ერთი ან ყველა ფაქტორის ხარჯს. ეკონომიკური ეფექტიანობა არის არსებული რესურსებიდან მაქსიმალურად შესაძლებელი დოვლათის მიღება. ამისათვის კი აუცილებელია მუდმივად შეუდარდეს შედეგი და ხარჯები, ანუ მეურნეობა წარიმართოს რაციონალურად, რათა რესურსების მინიმუმებით მიღწეული იქნას შედეგების მაქსიმუმება.

განასხვავებენ საწარმოს ფაქტორულ და საერთო ეფექტიანობას. ფაქტორული ეფექტიანობის გამოთვლისას, როგორც ითქვა,

წარმოების შედეგს უფარდებენ წარმოების ერთ რომელიმე ფაქტორს (შრომას, კაპიტალს, ნელეულს).

წარმოების შედეგი
(პროდუქტის ღირებულება)

$$\text{შრომის უკუგება, მწარმოებლურობა} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მომუშავე მუშაკთა რაოდენობა}}$$

წარმოების შედეგი
(პროდუქტის ღირებულება)

$$\text{კაპიტალუკუგება} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{ძირითადი კაპიტალის ღირებულება}}$$

წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)

$$\text{მასალუკუგება} = \frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მასალების ხარჯი}}$$

შრომის მწარმოებლურობის შებრუნებული სიდიდეა **შრომატევადობა**, კაპიტალუკუგების შებრუნებული სიდიდეა **კაპიტალტევადობა**, ხოლო მასალუკუგების შებრუნებული სიდიდეა **მასალატევადობა**. წარმოების საერთო ეფექტიანობის მახასიათებელია რენგაბელობა.

$$\text{რენგაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{წარმოების ხარჯები}} \times 100$$

$$\text{ან რენგაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულება}} \times 100$$

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არის ღირებულებითი მაჩვენებელი, ანუ იზომება ფულში. თუ მათ გავზომავთ ფიზიკურ მაჩვენებელი

ბლებში, მაშინ ეს იქნება არა ეკონომიკური, არამედ ტექნოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებლები, რომელიც განყენებულია რესურსების ღირებულებისაგან. მაგალითად, ტექნოლოგიური ეფექტიანობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მხოლოდ ახალი მოწყობილობა, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობის თანახმად შეიძლება გამოყენებული იქნას ძველიც, რომელიც მართალია ნაკლებწარმოებლურია, მაგრამ არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს შესყიდვაზე.

მომხმარებელი დოვლათის შექმნისა და მოხმარების ეფექტიანობის გაანგარიშებისას გამოდის მათი ალტერნატიული ღირებულებიდან, ანუ იმ დოვლათის ღირებულებიდან, რომელზედაც მას უწევს უარის თქმა სასურველის მისაღებად. გასაგებია, რომ განსხვავებული მომხმარებლისათვის ეს ალტერნატიული ღირებულება განსხვავებულია, რამეთუ მათი გემოვნება ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუმცა, დოვლათის უმრავლესობაზე არსებობს საზოგადოებაში საერთოდ აღიარებული, დადგენილი ალტერნატიული ღირებულება.

წარმოების ხარჯები და მათი შემცირების გზები. ფირმები დღე-ნიადაგ გრუნავენ ხარჯების შემცირებაზე, რადგანაც მასში ჩადებული თითოეული ლარი ამცირებს მოგებას. წარმოების ხარჯების ანალიზისას გამოყოფენ ხარჯების შემდეგ ეკონომიკურ ელემენტებს: ნედლეული და ძირითადი მასალები; ნაყიდი მანქანები, ტექნიკური ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები; დამხმარე მასალები; სათბობი და ენერჯია; ხელფასი; ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია; სხვა ფულადი ხარჯები.

ხარჯების ცალკეული სახეობების ღირებულების თანაფარდობა მთლიან ხარჯებთან გვიჩვენებს თვითღირებულების სტრუქტურას, რაც დარგების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ასე მაგალითად, მომპოვებელ დარგებში მაღალია ხელფასის ხვედრითი წილი, ეს მაშინ, როდესაც მსუბუქ და კვების მრეწველობაში ნედლეულისა და მასალების ხარჯი შეადგენს დანახარჯთა საერთო ჯამის 80-90%-ს, ელექტროსადგური კი მაღალი კაპიტალ-ტევადობით გამოირჩევა.

ფორმის მომგებიანობის გარკვევისათვის საჭიროა პროლუქციის ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშება, რასაც კალკულაცია ეწოდება. როგორც ითქვა, საწარმო, რომელიც მოგების მიღებას ესწრაფვის, დღენიადაგ ხარჯების შემცირებაზე ფიქრში უნდა იყოს, ვინაიდან მარალიანი საწარმოების მხარდაჭერა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამონაკლისია და არა წესი, რასაც სოციალიზმის დროს ჰქონდა ადგილი.

სამგასასმელია, რომ ხშირად ხარჯების ეკონომია თავად მოითხოვს გარკვეული შრომის, კაპიტალის და ფინანსურ ხარჯებს. ამიგომ დანახარჯები ხარჯების ეკონომიისათვის მაშინ არის გამართლებული, როცა ეკონომიის ეფექტი ბევრად სჭარბობს მის მიღებაზე გაწეულ ხარჯებს. სხვაგვარად, არც ღამაგებითი ხარჯები და არც ეკონომია თვითმიზანი არ არის. ისინი ეკონომიკურად მაშინ არიან გამართლებულნი, როდესაც მრდიან მოგებას.

საწარმომ ხარჯების შემცირების მიზნით მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი ისეთი თანაფარდობით უნდა შეარჩიოს, რომ **ჯერ ერთი**, არცერთი ფაქტორი არ მოცდეს, და **მეორე**, საჭირო რაოდენობის პროდუქცია წარმოებული იქნას მინიმალური დანახარჯებით. თუ ბაზარზე შრომა უფრო იაფია ვიდრე კაპიტალი, მაშინ მეწარმემ წარმოებაში დიდი რაოდენობით შრომა უნდა შეიყვანოს; თუ საქონელზე მოთხოვნა დაეცა, ხოლო მის წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე ფასები გაიზარდა, მაშინ ღამაგებითი პროდუქციის წარმოებას სჯობია რესურსების გაყიდვა; თუ მოსალოდნელია ნელელეულზე ფასების ზრდა, მაშინ ხელსაყრელია დიდი მარაგების გაკეთება; საწარმოში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა მაღალკვალიფიციური მუშაკის დაქირავებას მოითხოვს, რაც, შესაბამისად, ზრდის მასზე მოთხოვნას და მის დაქირავებაზე ხარჯებს. მოკლედ, მეწარმემ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ფაქტორების იმდაგვარი კომბინაცია უნდა მოახდინოს, რომ რესურსების მინიმალური დანახარჯებით მიიღოს პროდუქციის წინასწარ განსაზღვრული მოცულობა.

2013 წლის ნომრების უძინაარსი

№1-2

ეკონომიკური რეზორმა

მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე - სააღრიცხვო პოლიტიკის
ეფექტიანობის ანალიზის ზოგიერთი ასპექტი ----- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia -
The Factors influencing on Investment Activity and their Estimation ----- 13

ზინანსები, ბანკები, ბირჟები

Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Revaz Shengelia, Natia Shengelia -
Analysis of a Company's Profitability, Solvency and Liquidity ----- 20

რეგიონული ეკონომიკა

ვარლამ რამიშვილი, ნატალია ჯიჯავაძე - ტურიზმის
ინდუსტრიის ინვესტიციებით მართვის პოლიტიკის ფორმირება ---- 30

დარგობრივი ეკონომიკა

Намик Исаев - К методике установления
решения хозяйственных задач производства нефти ----- 36

ჟანა ბალახაშვილი - ჯანმრთელობის დაცვის
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა- მოსახლეობის
ჯანმრთელობის უპირველესი გარანტი ----- 41

ბესიკ ფუტყარაძე, რევაზ ქელდიშვილი -
საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა და პორტები ----- 46

Лиана Григорян - Операционный аудит эффективности
инновационного развития хозяйствующих субъектов ----- 52

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

მანანა სამადაშვილი - სტრესის მართვის ზოგიერთი ასპექტი - ---- 57
ბადრი რამიშვილი - თანამედროვე
ორგანიზაციული სტრუქტურები ----- 61
ირმა ჩხაიძე - ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც
საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის საფუძველი ----- 69
მზია მოისწრაფიშვილი, თამარ ქამხაძე -
კონსალტინგის როლი ბიზნესში ----- 76

მსოფლიო ეკონომიკა

ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე - რეგიონული
სტატისტიკის ორგანიზაციის საერთაშორისო გამოცდილება ----- 81

მილოცვა

რუსუდან ქუთათელაძე, ევგენი ბარათაშვილი,
კარლო ლურწკაია, გიორგი ცაავა, რევაზ შენგელია -
ზურაბ ლიპარტია - 65 ----- 87
რეფერატები ----- 91

№3-4

ეკონომიკური რეფორმა

გურამ ჩარგაზია - სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა – სახეობები და მიმართულებები -----	8
ეკა ჩოხელი - ბიზნეს-კომპანიების მდგრადი განვითარების ორიენტირები -----	15

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ანზორ აბრალავა - ღია ეკონომიკის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები -----	22
ელგუჯა მელაძე - სოციალური დიალოგი და მისი განხორციელების გარემო საქართველოში-----	31
ქეთევან კინმარიშვილი - შრომის ანაზღაურების ზოგიერთი ასპექტი -----	43
ვახტანგ დათაშვილი, გიორგი ცინცაძე, მარიამ დათაშვილი - შრომის ბაზარი: დასაქმების პოლიტიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში-----	47
რამაზ გერლიანი - ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კრიზისების ზოგიერთი ასპექტები -----	53
ელგუჯა მელაძე - შრომითი ურთიერთობების რეგულირების გლობალური გამოწვევები და მოდელები -----	65
ბადრი დავითაია - მოგების ოპტიმალური მოცულობის გაანგარიშების მეთოდიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში -----	74
გიგლა გაბაიძე - ინფლაციის დონე საქართველოში, მისი გამომწვევი მიზეზები და ეკონომიკური შედეგები-----	80

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ბესარიონ ბაუჩაძე - მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ფორმირება საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესში-----	88
--	----

ირმა კვეტენაძე - რისკების მართვის სისტემა
კომერციულ ბანკებში ----- 99

რეგიონული ეკონომიკა

იულია ონიანი, ნატო ჩიკვილაძე - რეგიონის მოსახლეობის
ცხოვრების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიის
სრულყოფისათვის ----- 105
ლალი ხარბედია - საქართველოს ადგილი რეგიონულ
და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ----- 119

დარგობრივი ეკონომიკა

ლელა ბიჭიაშვილი - ტურიზმის თანამედროვე
მიმართულებების განვითარება საქართველოში ----- 129
ბადრი დავითაია - საბრუნავი კაპიტალის გამოყენების
ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ----- 135
ქეთევან კინმარიშვილი - მეთოდები, რომლებიც
ემყარება ინდექსური ინდიკატორების გამოყენებას ----- 141
Maria Johann - Creating the Unique Destination
Proposition (The Case of Poland) ----- 144

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ზურაბ ვაშაკიძე, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია,
რამაზ შაყულაშვილი - მმართველობითი აღრიცხვა
და მისი ძირითადი პრინციპები ----- 154
გოჩა ქუბაბრია - გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში
მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემა ----- 165
მანანა სამადაშვილი - ტრენინგების ეფექტიანობის
მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში ----- 173

Ashot Matevosyan, Vahan Baghdasaryan -	
New approaches to assessment of tax risks -----	177
ქეთევან კინძარიშვილი - საქართველოში	
ბიზნეს გარემოს შექმნის სტრატეგიები -----	182
Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili -	
Marketing planning as a system to achieve	
the strategic goals of the company -----	186
ლია ბერიკაშვილი - სამრეწველო ბაზრის სეგმენტირება,	
თარგეთირება და პოზიციონერობა-----	191
ეკა ჩოხელი - მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ასპექტები	
და მათი შეფასება ქართულ ბიზნეს-კომპანიებში -----	196
Ashot Matevosyan, Mane Matevosyan -	
Problem of Tax Planning in Enterprises -----	202
ევგენი ბარათაშვილი, ლია ბერიკაშვილი,	
ანზორ აბრალავა - სამრეწველო კლასტერების	
ფორმები თანამედროვე ბიზნესში-----	209

მსოფლიო ეკონომიკა

გოჩა ჭუბაბრია - საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების	
მნიშვნელობა და როლი გლობალურ პროცესებში-----	214
Карпет Аракелян - Глобализация и тенденции	
изменений в образовании -----	223
ლალი ხარბედია - მოდერნიზმი და	
ეთნოეკონომიკური სისტემები -----	234
რეფერატები -----	241

№5-6

ეკონომიკური რეფორმა

გიორგი სოლომნიშვილი - ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში-----	9
შოთა მინჯორაია, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია, გიორგი მინჯორაია - გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში -----	16
გიორგი ყუფარაძე - საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობაზე-----	32

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ანზორ აბრალავა, ქეთევან ლარიბაშვილი - ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესები და ინტეგრაციული პროცესები -----	40
ნოდარ ფუტყარაძე - საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის განვითარების ტენდენციები -----	45
ინგა სიჭინავა - ნებისყოფის როლი მიზანდასახული ქცევის განხორციელებაში-----	50
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია- მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემა და სწავლების სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი -----	57

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ალეკო ქუთათელაძე, ირმა კვეტენაძე - ფინანსური რისკები თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში -----	70
Irina Vashakmadze - Necessity of Strengthening the Financial Sustainability of the Banking System in Georgia -----	74

რეგიონული ეკონომიკა

ეკატერინე ბახტაძე - ადგილის მარკეტინგის სტრატეგიები -----	82
ნინო მაზიაშვილი, ხათუნა ხარხელაური- რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში ---	90

დარგობრივი ეკონომიკა

ქეთევან კინძარიშვილი - შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში -----	96
ნოდარ ფუტყარაძე - საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი -----	99
Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - The Main Peculiarities of Tax and Financial Accounting of Fixed Assets -----	105
ქეთევან კინძარიშვილი - ორგანიზაციის საბრუნავი აქტივების ანალიზი -----	113
დარეჯან ჩხუბაძე - ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური (მატრიცული) მეთოდები და მისი პრაქტიკული ღირებულება -----	116
რევაზ ნაკაშიძე - ახალი რეალობის შესატყვისი პროფესიული კადრების მომზადებისათვის -----	120
ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია - საოპერაციო და ფინანსური იჯარის (ლიზინგი) ბულალტრული აღრიცხვა -----	132
ნინო ფუტყარაძე - საზღვაო საკრუიზო ბაზრის გენეზისი და ფორმირება -----	139
მზისადარ ბჟალავა - სანაოსნო კომპანიის საქმიანობა და საფრახტო ბაზრის გამოკვლევა -----	153
ნათია შენგელია - ფინანსური ანგარიშგების არსი, სახეები, კომპონენტები, მათი ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა -----	159

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

დარეჯან ჩხუბაძე - ეკონომიკური ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას -----	170
ლალი სადალაშვილი, ნანა შავშიშვილი, ნათია მინდიაშვილი - მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტების მნიშვნელობა აღრიცხვაში -----	176
მზისადარ ბჟალავა, ლალი ხარბედია - სანაოსნო კომპანიის კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასება -----	182

ირმა ჩხაიძე - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა	
საქართველოს რეალობაში -----	188
ვასილ ხიზანიშვილი - გლობალიზაცია და ბიზნესის ეთიკა -----	194
ბესიკ ბაუჩაძე - დანახარჯების მმართველობითი ანალიზის	
ძირითადი კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე	
(სამრეწველო სანარმოთა მაგალითზე) -----	199
ალექსანდრე შენგელია, ზურაბ შენგელია -	
„Supply chain management“ - მართვის თანამედროვე კონცეფცია ---	209
სუზანა დობორჯგინიძე - ცოდნის მენეჯმენტი -----	219

მსოფლიო ეკონომიკა

G. Baghdasaryan, Margarit Kasimyan - Perspectives of	
Armenian-Georgian economic cooperation -----	224
მედეა ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე -	
ტურისტული მომსახურებების ბაზრის გლობალიზაცია-----	237
მარინა ბალათურია, ნატო გეგენავა -	
გლობალიზაციის პრობლემები საქართველოში -----	250
ქეთევან ლარიბაშვილი - რეგიონული კონფლიქტების	
გავლენა ევროინტეგრაციულ პროცესებზე -----	255

ეკონომისტი აუდიტორიაში

რევაზ შენგელია - მიკროეკონომიკის ობიექტები:	
საოჯახო მეურნეობები, ფირმები, მცირე და დიდი ბიზნესი -----	261
ნათია შენგელია, რევაზ შენგელია - მენარმე სუბიექტები	
და მათი ღირსება-ნაკლოვანებები -----	269
ჟუჟუნა ნიკლაური, რევაზ შენგელია -	
მთლიანი შემოსავალი, მთლიანი ხარჯი და მოგება-----	278
ლელა კამლაძე, ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია-	
კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების მნიშვნელობა	
ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების საქმეში -----	286
SUMMARY -----	292

№7-8

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პარსაქტივები

ლელა ონიანი - კომერციული ბანკების
საპროცენტო პოლიტიკის ანალიზი ----- 8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

გიორგი მალაშხია - უქმი ეკონომიკა და
კეთილდღეობის დანაკარგები----- 15
კარლო ლურნკაია, რამაზ ოთინაშვილი, ილია ჰაპაშვილი,
ეკატერინე ჩიქოვანი - სახელმწიფოსა და ეკონომიკის
ურთიერთობების ევოლუცია ----- 32
ქეთევან კინმარიშვილი - ლიბერალიზმი ეკონომიკაში ----- 42
ნატალია რობიჯაშვილი - მოსახლეობის შემოსავლების
დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური
საკითხები საქართველოში ----- 45

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნანა ბენიძე, ჯამბულ ბინაძე - პირადი დაზღვევის
სისტემის პრობლემები: დამახასიათებელი ნაკლი
თუ ადმინისტრირების პრობლემები? ----- 57
ნინო გრიგალაშვილი - საქართველოს საბანკო
სექტორში საკრედიტო რისკის მართვა ----- 63
ხათუნა შალამბერიძე - საბანკო კონკურენციის
სრულყოფის გზები საქართველოში ----- 67

რეგიონული ეკონომიკა

ლელა ონიანი - კომერციული ბანკების რეგიონული ფილიალების
კორპორაციულ კლიენტებთან ურთიერთობის პრინციპები ----- 74
ნარგიზა ქარქაშაძე, ლელა კამლაძე - კულტურული ტურიზმის
როლი და მნიშვნელობა რეგიონის განვითარებაში ----- 83

დარგობრივი ეკონომიკა

სერგო თურმანიძე, ბაგრატ დევაძე - კრუიზის ინდუსტრიის განვითარება შავიზღვისპირეთში-----	92
ნათია შენგელია, ყუყუნა ნიკლაურიშენგელია - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები საზღვარგარეთ და საქართველოში, მათი აღრიცხვის სპეციფიკა -----	101
მედეა ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე - საკრუიზო ტურიზმი თავისებურებები, არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები-----	110
ერეკლე სოლომნიშვილი - მარაგები და მათი შეფასების გამარტივების მეთოდები -----	119
დარეჯან ჩხუბაძე - მათემატიკური მოდელირების მეთოდები ეკონომიკურ ანალიზში -----	127
ირმა ჩხაიძე - სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში -----	133

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ევგენი ბარათაშვილი, ანა ბოლქვაძე - საქმიანი კულტურა – შედარებითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი -----	142
მანანა სამადაშვილი - შრომითი მოტივაციის როლი პერსონალის მართვის პროცესში -----	148
თამარ ლამბაშიძე, ნაირა ლვედაშვილი - უმუშევრობის თანამედროვე ტენდენციები და მისი მართვის პერსპექტივები -----	153
ალექსანდრე შარაშენიძე - სტრატეგიული ალიანსები და მათი როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში -----	166
Natia Shengelia - Analysis of Cash Flows and Profit & Loss Statements, Interconnections and Differences Between Them -----	171
ვასილ ხიზანიშვილი - ბიზნეს ეთიკის მენეჯმენტი -----	179
მანანა სამადაშვილი - დროის მართვის რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა პერსონალის მართვის პროცესში -----	183
ქეთევან კინმარიშვილი - გლობალურ გარემოში ბიზნესის მართვა კომპანია „ზარას“ მაგალითზე -----	188

ვასილ ხიზანიშვილი - ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზება	-- 191
მანანა სამადაშვილი - ადამიანური რესურსების	
სტრატეგიული მართვა	----- 196

მსოფლიო ეკონომიკა

ნონა ახვლედიანი - გლობალიზაცია და სტატისტიკის	
აქტუალური პრობლემები 21ე საუკუნეში (სამეცნიერო საინოვაციო	
გლობალიზაციის ძირითადი საპროგნოზო მიმართულებები)	----- 200
როლანდ სარჩიმელია, გელა ლობჯანიძე - მეცნიერება და რელიგია	
ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში	----- 207
ხათუნა შალამბერიძე - გლობალიზაცია და ქვეყნის ფინანსურ	
ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი აქტუალური საკითხი	---- 219
ქეთევან კინძარიშვილი - საერთაშორისო ორგანიზაციის	
შექმნის ეტაპები	----- 225

ეკონომისტი აუდიტორიაში

ყუყუნა ნიკლაურიშენგელია, ნათია შენგელია, რევაზ შენგელია -	
გადასახადი, როგორც სახელმწიფოს შემოსავალი	----- 229
რევაზ შენგელია - სახელმწიფოს ეკონომიკური	
საქმიანობის არსი და მიზანი	----- 237
Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri Shengelia - The Improvement	
of Teaching Financial Accounting with Modern Accounting Software	-- 245
რევაზ შენგელია, ნათია შენგელია - ეკონომიკაში სახელმწიფოს	
მონაწილეობის ობიექტური აუცილებლობა, ფუნქციები,	
ფორმები და მასშტაბები	----- 252
რევაზ შენგელია - საშუალო, ზღვრული ხარჯი და	
ზღვრული პროდუქტი	----- 258
SUMMARY	----- 262

№9-10

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემატიკა, პერსპექტივა

პატა კოლუშვილი - კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირება -----6	
გიორგი ყუფარაძე - საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ----- 15	

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

გურამ ჯოლია, ქეთევან ჯოლია - ადამიანის მოდელი ეკონომიკურ თეორიასა და მარკეტინგში ----- 33	
ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე - მოსახლეობის ჯანდაცვის სტატისტიკის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში ----- 52	

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

Mushegh Hovhannisyán - Financial Capital and it's Development in a Globalizing Economy ----- 69	
Минасян Виген Бабкенович - Механизм возникновения кризисных явлений на финансовых рынках----- 76	

დარბოზრივი ეკონომიკა

ნინო ფუტყარაძე - საკრუიზო გემების ტექნიკური მახასიათებლები ----- 90	
Dorien De Tombe - A Multidisciplinary Approach of the Healthcare System ----- 98	

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ნანული მახარაძე - საქონლის მარკირება – პრობლემები ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე -----	113
Mushegh Hovhannisyán - The Relationship of the Concept of Value Management and Principles of Corporate Governance -----	118
ჩადუნელი გელა - ფინანსური დარღვევები, მათი იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია ბიზნესის სფეროში -----	124
გოგოჭური დავითი - ეკონომიკურ დანაშაულთა პროფილაქტიკაში შიდასაფირმო კონტროლის თანამედროვე პრობლემები -----	133
ვასილ ხიზანიშვილი - კომპანიის თანამშრომლები, როგორც სტეიკჰოლდერები -----	144

მსოფლიო ეკონომიკა

არჩილ ანჯაფარიძე - უკრაინულ-ქართული პარტნიორობის ეკონომიკური განზომილება -----	149
Седляр Юлия Александровна - САНКЦИИ В МЕЖДУНАРОДНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ НАУКЕ -----	158

ეკონომისტი აუდიტორიაში

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია - მიკრო და მცირე ბიზნესი, საქონლისა და მომსახურების ბაზრები, რესურსების ბაზრები -----	167
--	-----



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 233-50-23, 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.11.2013წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.2013წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5